სარჯიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 26 მაისი 2006 №118 (2740) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაშის დუ

ჩერნომორეცმა მესამე ქართველი გაიფორმა

3

ჩიხურაში ქასრაშვილი დაინიშნა

მალე საჩხერელების მადაც გაირკვევა

4

ძიუდოისტები ევროპის ჩემპიონატს იწყებენ

დღეს ქართველებს სამი იმედი აქვთ

4

გადრი ჯიმლეანის ფოტო

ტოპმიოლერმა ნაკრებს სიკვი ნიავი არ მიაკარა

ლევან მაღრაძემ ტრავმა შემოთვალა

...ჩვენი დიდი სურვილია, ნაკრებმა გუნდური თამაში აჩვენოს და იმედია, ამას შევძლებთ. გუნდურობა კი წარმატების საწინდარია...

...ნაკრებს ჰყავს მთავარი ბირთვი: კახა კალაძე, შოთა არველაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, მალხაზ ასათიანი, ლევან კობიაშვილი და გიორგი დემეტრაძე...

...საქართველოს ჩემპიონატში თუ თასზე რომელ თამაშსაც დავესწარით, იონანიძე ყველგან გამორჩეული იყო...

...19-წლამდელთა თამაში მართლაც არ იყო მოსაწონი, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ მათთან მუშაობა სულ ახლახან დავიწყეთ და სლოვაკური მატჩები უფრო ურთიერთგაცნობად უნდა ჩაითვალოს...

ეს კლაუს ტოპმიოლერის სიტყვებია, რომელიც გუშინ გვითხრა. სხვა მხრივ, ნაკრებს 27 და 31 მაისს ახალ ზელანდიასთან და პარაგვაისთან მატჩებისთვის მზადების მეორე დღეს ორის ნაცვლად ერთი ვარჯიში გამოუვიდა — ალტენკირხენში დილით წვიმდა და ავდარში ფეხბურთელთა დატვირთვას ტოპი მოერიდა.

კიდევ ისაა სიახლე, რომ სანაკრებო სიას ლაშა ჯაკობიას შემდეგ ბერძნული „ქსანთის“ მცველი ლევან მაღრაძეც დაკლდა. ისიც ტრავმის გამო.

სამი თბილისური დღე ქალების შესარჩევად

გადრი ჯიმლეანის ფოტო

ნინო ბურკაძის პრესსამსახური

კლაუს ტოპმიოლერს არდადეგების არ ეშინია

გუშინწინ ჯაკობია, გუშინ მაღრაძე...

27 და 31 მაისს ახალ ზელანდიასთან და პარაგვაისთან ისეთი მატჩებია, რომლებსაც კლაუს ტოპმიოლერისთვის მხოლოდ გაცნობითი ხასიათისას ვერ დავარქმევთ — სამი-ოთხი ფეხბურთელის გამოკლებით, საქართველოს ნაკრები ამ ორ თამაშს ოპტიმალური შემადგენლობით ხვდება და დანარჩენი უკვე მინდორზე გამოჩნდება. თუმც ისიცაა, რომ ტოპის ხელში პირველად ითამაშებენ კახა კალაძე, შოთა არველაძე, გიორგი დემეტრაძე, ალექსანდრე იაშვილი და კიდევ რამდენიმე ლეგიონერი. კიოლნთან მდებარე დაბა ალტენკირხენში საქართველოს ნაკრებს გუშინ მეორე სავარჯიშო დღე ჰქონდა. **კლაუს ტოპმიოლერთან ინტერვიუც** საღამოს ვარჯიშამდე ჩავწერეთ...

— ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელების უმრავლესობა კლუბებიდან შვებულებაშია: როგორ ფორმაში არიან ისინი?

— ვერ გეტყვით, რომ საუკეთესო ფორმაში არიან, ორკვირიანი არდადეგები მაინც თავისას შვრება. ჩვენი დიდი სურვილია, ნაკრებმა გუნდური თამაში აჩვენოს და იმედია, ამას შევძლებთ. გუნდურობა კი წარმატების საწინდარია.

— ახალ ზელანდიასთან და პარაგვაისთან განსხვავებული შემადგენლობებით ითამაშებთ?

— რა თქმა უნდა. ჩვენი გუნდი ხომ კვლავ ჩამოყალიბების პროცესშია და ძიებას ვაგრძელებთ. ბუნებრივია, ნაკრებს ჰყავს მთავარი ბირთვი: კახა კალაძე, შოთა არველაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, მალხაზ ასათიანი, ლევან კობიაშვილი და გიორგი დემეტრაძე.

— ზურაბ იონანიძე პირველად მიიწვიეთ ნაკრებში. რას იტყვით მასზე?

— საქართველოს ჩემპიონატში თუ თასზე რომელ თამაშსაც დავესწარით, იონანიძე ყველგან გამორჩეული იყო. მას შეუძლია, ნაკრებს სარგებლობა მოუტანოს და არ გამოვრიცხავ, მომდევნო მატჩებშიც გამოვიძახო.

— საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა სლოვაკეთში გამართულ ევროშესარჩევში უხეიროდ ითამაშა. იმ მატჩებს თქვენც ესწრებოდით და ვარჯიშებზე თუ თამაშის დროს აქტიურად ხელმძღვანელობდით გუნდს...

— 19-წლამდელთა თამაში მართლაც არ იყო მოსაწონი, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ მათთან მუშაობა სულ ახლახან დავიწყეთ და სლოვაკური მატჩები უფრო ურთიერთგაცნობად უნდა ჩაითვალოს. თუმცა ამ ნაკრებში ბევრი პერსპექტიული ფეხბურთელია. სწორი მუშაობის და თანამშრომლობის შემთხვევაში, მათი პროგრესი გარდაუვალი იქნება. მჯერა, ასეც მოხდება.

— მოახლოებულ ორ მატჩში კვლავ 4-3-3 სქემით ითამაშებთ თუ სხვა ვარიანტებსაც მოსინჯავთ?

— 4-3-3-ით ვაპირებთ თამაშს და იმედია, ნაკრები ამას მოერგება. გუშინ თეორიულ საკითხებზე ვიმუშავეთ, მათი პრაქტიკაში გადატანა და წარმატებულად შესრულება, მგონი, ძნელი არ იქნება. ყოველ შემთხვევაში, იმედიანად ვარ.

კლაუს ტოპმიოლერმა ისიც გვითხრა, ერთი-ორმა ფეხბურთელმა ჯერ ვერ მოასწრო ალტენკირხენში ჩამოსვლაო. ნაკრებს დილის ვარჯიში ჰქონდა დაგეგმილი, თუმცა წვიმის გამო გაუცდა — ტოპიმ ავდარში ფეხბურთელების დატვირთვისგან თავი შეიკავა. საღამოს კი, ცხადია, ვარჯიში შედგა.

გეცოდინებათ, ნაკრებს ვერ დაეხმარება „მეტალისტის“ ფორვარდი ლაშა ჯაკობია, რომელსაც ტრავმა აწუხებს. ამავე მიზეზით გუშინ ტოპის სიას ბერძნული „ქსანთის“ მცველი ლევან მაღრაძეც დაკლდა.

ნინო სილაგაძე

ჩვენი მეტოქეები

დაივიწყეთ რაგბი!

ახალმა ზელანდიამ ბუდაპეშტში უნგრეთთან 0:2 წააგო, მაგრამ მაინც კმაყოფილი დარჩა. ახალზელანდიურ პრესაში ამოვიკითხეთ, რომ ბოლო პერიოდში ეს მათი ნაკრების საუკეთესო მატჩი იყო.

რიკი ჰერბერტის ხელმძღვანელობით ახალზელანდიელებმა მეექვსე შეხვედრა ჩაატარეს და უნგრელებს დიდად არაფერში ჩამოუვარდებოდნენ. პირველ ტაიმში თანაბარი თამაში იყო, უნგრელთა მეკარე გაბორ კირალიმ სტუმართა შემტევ კრის კილენს სასწაული ბურთი აუღო — იტყობინება ერთ-ერთი ახალზელანდიური ვებგვერდი, ხოლო მასპინძლებს პირველ ტაიმში ღირებული არაფერი შეუქმნიათ.

მეორე ტაიმში კი ზელანდიელები 20 წლის მცველმა სტივენ ოლდმა დააღალატა — ის ორჯერ შეცდა და უნგრელებმა ორივე შეცდომა გამოიყენეს.

„ალბათ ის უნდა ვთქვა, რომ საკუთარ თავთან წავაგეთ, დაცვაში უხეში შეცდომები დავუშვით და სამი საგოლე შანსი ვერ გამოვიყენეთ. გულზე ხელის დადებით ვამბობ, რომ კარგა ხნის მანძილზე ეს ჩვენი საუკეთესო მატჩი იყო. პროგრესი სახეზეა. ფეხბურთელებს ვუთხარი, მოდით, დავივიწყოთ, რომ სარაგბო ქვეყნიდან ვართ, რადგან უნგრეთში ვთამაშობთ-მეთქი“ — განაცხადა ნამატჩევს ახალზელანდიელთა დამრიგებელმა ჰერბერტმა.

ახალზელანდიელებმა ბუდაპეშტიდან უკვე გადაინაცვლეს გერმანიაში, ისინი ახლა ბონთან ახლომდებარე ჰენეფის სპორტულ ბაზაზე არიან და იქ ემზადებიან ხვალ საქართველოსთან ალტენკირხენში მატჩისთვის.

AFP, ბუდაპეშტიდან

იაროდ სმიტი (№3) და ახალზელანდიელები ბუდაპეშტური მარცხით კმაყოფილნი დარჩნენ

ბუდაპეშტში ჰერბერტმა ესენი ათამაშა: *მოსი, ჰიკეი, ოლდი, ჰაი, უილსონი (ბუნსი 85), ვისელირი, ბრაუნი (დეგრეგორიო 60), კრისტი, ბუკენუვე, ბერტოსი, კილენი (ბროკი 68).*

ნიკა ჯორჯაძე

უსანტაკრუზო პარაგვაიმ დაცვაში ვერ ივარგა

31 მაისს საქართველოს ეროვნული ნაკრები პარაგვაის ეთამაშება ავსტრიულ დორნბირნში. პარაგვაი კარსმომდგარი მუნდიალის მონაწილეა და გერმანიაში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის უკვე შეიკრიბა — პარაგვაელები ავსტრიაში დაბინავდნენ.

გუშინ კი პარაგვაის ნაკრები ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში იქაურთა ეროვნულ ნაკრებს გაეჯიბრა და ფრეს გამორჩა — 2:2.

AFP, ოსლოდან

ნელსონ ვალდესმა (მარჯვნივ) ნორვეგიელებს ერთი ბურთი გაუტანა

პარაგვაელებს არ ჰყავდათ თავიანთი ყველაზე სახელიანი ფეხბურთელი — მიუნხენის „ბაიერნის“ ფორვარდმა როკე სანტა-კრუზმა მუხლის ოპერაცია გაიკეთა, ახლა სარეაბილიტაციო პერიოდი აქვს და ექიმთა ვარაუდით, გერმანია 2006-ზე თამაშს მაინც შეძლებს. ეს იმას ნიშნავს, რომ სანტა კრუზი საქართველოსთან 31 მაისს არ ითამაშებს.

ოსლოში უსანტაკრუზო პარაგვაიმ შთამბეჭდავად ვერ ითამაშა, სამხრეთამერიკელები ყველაზე უფრო დაცვაში მოისუსტებდნენ.

ნორვეგიელები იონსონის გოლით დაწინაურდნენ — საგოლე პასი მას საჯარიმო დარტყმით პედერსენმა უბოძა. გამთანაბრებელი მცველმა გამარამ შეაგდო თავით აკუნიას პასით. აქედან ექვს წუთში პარაგვაელთა ფორვარდმა ვალდესმა ოსტატურად მოიგო ბურთი სკანდინავიელთა საჯარიმოში და 1:2.

ამის შემდეგ სტუმრები თითქოს მოეშვნენ, მასპინძლებმა კი სისწრაფეს და აგრესიულობას უმატეს და გამთანაბრებელიც შეაგდეს — პარაგვაელთა მეკარე ვილიარი ნაკუთხურალ ბურთზე უხეიროდ გამოვიდა და იონსენსაც შანსი ხელიდან არ გაუშვია.

პარაგვაიმ ოსლოში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ვილიარი, და სილვა, გამარა, ტოლედო, აკუნია, ბარეტო, ბონეტი, კაბანიასი (კუეკასი 46), დოს სანტოსი, რივეროსი, ვალდესი (კარდოსო 58).*

ნიკა ჯორჯაძე

ამხანაგური მატჩები

ავსტრალია 1:0 საბერძნეთი
შვედეთი 0:0 ფინეთი

ბელგია

გადასასვლელი პლეი ოფი
II ტური

გენელი 2:3 ლიერსი
ვიგორი 2:1 ლომელი

ისლანდია

პრემიერლიგიზიონი
III ტური

ვიკინგური 4:1 ბრეიდაბლიკი
ვესტმანაეიარი 0:3 ვალიური
ჰაფნარფიორდური : აკრანესი

გვიან გაიმართა

ნორვეგია

I დივიზიონი. IX ტური

ალესუნდი 5:0 ფოლო
ჰაუგესუნდი 1:1 ბოდიო გლიმტი
კონგსვინგერი 1:1 ბრინი
მოსი 4:1 ჰიოდი
ჯოს გრენლანდი 0:2 სტრომგოდსეთი
სოგნდალი 1:1 ჰიონეფოსი
სპარტა 2:2 ლოვ ჰამი
ტრიომფდალენი 6:2 ოსლო იოსტი

ფინეთი

ვეიკაუსლიგა
VI ტური

ჰიკ 0:0 მარიეჰამნი
ლაჰტი 1:0 ვაასა
იარო 1:0 კუოპიო
ტამპერე 1:0 ჰაკა
ტურკუ 0:0 მიუპა

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი (U-21)

A ჯგუფი. II ტური

საფრანგეთი 3:0 გერმანია
პორტუგალია 0:2 სერბეთი

ოდესის „ჩერნომორეცმა“ გუშინ ქართული წყვილი ოფიციალურად აქცია ტრიოდ — **გიორგი შაშიაშვილმა** ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და კახა მჟვანაძისა და ილია კანდელაკის თანაგუნდელი გახდა. შაშიშიაშვილი ძალიან კმაყოფილია, „ჩერნომორეცი“ ჩემი პირველი სერიოზული კლუბია, რადგან „ალანიას“ სათვალავში არ ვთვლიო.

ეგეც არ იყოს, ბოლო დროს ტართველი ფეხბურთელები მზა კონტრაქტით გაფუფუნებულები როდი არიან, ჯერ გასინჯვა, მერე პირობებზე საუბარი და ასე შემდეგ...

გურამ დოლიძაშვილის ფოტო

შაშის დუ

რა ალანია, ჩერნომორეცი ჩემი პირველი უცხოური კლუბია

„გაუსინჯავად კონტრაქტზე ხელმოწერა ბევრს ნიშნავს. „ჩერნომორეცის“ მწვრთნელ სემიონ ალტმანს ჩემი თამაში ნანახი ჰქონდა, მარტში ალბანეთ — საქართველოს უყურა და მოვეწონე. ძალიან თბილად მიმიღეს, მშვენიერი პირობებია.

...გუნდს გადასარევი ბაზა აქვს. მთლიანად ქალაქის სილამაზეზე კი აღარაფერს ვიტყვი...“

გიორგის ოფიციალურ პრეზენტაციას „ჩერნომორეცი“ 29 მაისს მოაწყობს. იმ დღეს გუნდს უკრაინის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლებს გადასცემენ, ხოლო ქართველ მცველს 15-ნომრიან მაისურს უბოძებენ.

„6 ნომერიც იყო თავისუფალი, თუმც 15 ვარჩიე“ — გვითხრა შაშიაშვილმა.

უკვე რამდენი წელია, უკრაინაში ორი კლუბი დომინირებს..

„როცა ჩემპიონატი იწყება, უკვე ცნობილია, რომ ან „შახტარი“ გახდება ჩემპიონი, ან „დინამო“. თუმცა ყველაფერი შეიძლება მოხდეს, აგერ, საქართველოში ბოლნისის „სიონმა“ იმარჯვა და ვინ იცის... კარგია, რომ წლეულს უეფას თასზეც ვითამაშებ.“

ცხადია, შაშიაშვილს ახალ გუნდში კონკურენციაც დახვდება, თუმცა ამის არ ეშინია.

„ილია კანდელაკმა მითხრა, ჩვენი ცენტრალური მცველი ასაკოვანია და შესაძლოა, სულაც კარიერა დაასრულოსო. საკუთარი თავის იმედი მაქვს. და კიდევ, კონტრაქტში ისიც წერია, რომ თუ „ჩერნომორეცზე“ ძლიერმა კლუბმა მოისურვა ჩემი ყიდვა, ხელს არ შემიშლიან.“

დაბოლოს, საქართველოს ნაკრებზეც: ალბანეთთან ორი თვის წინანდელ ტესტ-მატჩში კლაუს ტოპმიოლერმა შაშიაშვილი გამოარჩია, თუმცა...

„თავიდან ვიცოდი, რომ ახალ ზელანდიასთან და პარაგვაისთან მატჩებისთვის უნდა შემხმიანებოდნენ, მაგრამ ამ მომენტში ოდესას ვერ დავტოვებდი. „ჩერნომორეცში“ ჩარიცხვის ამბავი წყდებოდა და ამიტომაც არ გავრისკე.“

ილია ნანოგაშვილი

ზელიუკმა დემე დაადასტურა

გიორგი დემეტრაძე დონეცკის „მეტალურგში“ ბრუნდება — ეს ამბავი ადრეც გაუწყეთ, გუშინ კი ამის თაობაზე პირველი ოფიციალური კომენტარიც გაკეთდა. დონბასელთა ახალდანიშნულმა ვიცე-პრეზიდენტმა დმიტრი ზელიუკმა განაცხადა: „პერუელი ანდრეს მენდოსა და ქართველი გიორგი დემეტრაძე ჩვენთან ითამაშებენ.“

მოკლედ, თელ ავივის „მაკაბიში“ რამდენიმეთვიანი ბურთაობის შემდეგ დემეტრაძე ისრაელს ტოვებს და ბრუნდება იქ, სადაც ძალიან დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა — „მეტალურგში“ თამაშისას გიორგი უკრაინის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა.

კახა შალამბერიძე

ჟორჟიკაშვილმა ზესტაფონი ნაკრებში გასცვალა

თუმცა ზესტაფონში მაინც ჟორჟიკაშვილს ელიან

ერთი თვის წინ ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა „ზესტაფონის“ მთავარი მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილი და „ლოკომოტივის“ მწვრთნელი მამუკა აბუსერიძე არჩევანის წინაშე დააყენა: თუკი მათ ნაკრების სამწვრთნელო შტაბში სურთ მუშაობის გაგრძელება, სეზონის დამთავრებისთანავე კლუბებს უნდა გაეყარნონო.

ჟორჟიკაშვილი და აბუსერიძე ამჟამად გერმანიაში ნაკრებთან ერთად იმყოფებიან, ანუ მათ არჩევანი გააკეთეს, ზესტაფონში კი მთავარი მწვრთნელის... კობა ჟორჟიკაშვილის მოლოდინში არიან. არადა, როცა **მერაბ კოჭლაშვილს** ვუკავშირდებოდით, გვეგონა, „ზესტაფონის“ მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელთან ინტერვიუ შედგებოდა...

კობა ჟორჟიკაშვილი და მერაბ კოჭლაშვილი

გურამ დოლიძაშვილის ფოტო

— **რა ვითარებაა „ზესტაფონში“, როდის დასრულდება შვებულება და დაგეგმეთ თუ არა უკვე მოსამზადებელი ციკლი?**

— მოგეხსენებათ, გუნდის მთავარი მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილი ნაკრებთან ერთად გერმანიაშია. გარკვეული მონახაზები გვაქვს და ივნისის დასაწყისში საბოლოო სახეს მივცემთ.

— **კი მაგრამ, კობა ჟორჟიკაშვილთან დაკავშირებით ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა ხომ უკვე მიიღო გადაწყვეტილება — სეზონის დასრულებისთანავე მას კლუბში მუშაობა აეკრძალა და მხოლოდ სანაკრებო შტაბში დარჩა...**

— რა თქმა უნდა, ვიცით აღმასკომის ამ გადაწყვეტილების შესახებ, მაგრამ მაინც არ გვინდა ვიჩქაროთ. ჩამოვა თავად კობა ჟორჟიკაშვილი და მერე გაირკვევა ყველაფერი. ეგებ აღმასკომმა დროებით შეაჩეროს ამ გადაწყვეტილების შესრულება.

— **თუ არ შეაჩერა და ჟორჟიკაშვილმა არჩევანი არ შეცვალა, „ზესტაფონის“ მთავარი მწვრთნელის პოსტი თავისუფალია. უკვე ხომ არ შემოუთავაზებიათ ეს ადგილი?**

— ისეთი კატეგორიის ადამიანი ვარ, სანამ კობა ჟორჟიკაშვილი მთავარი მწვრთნელია, ამ თემაზე საუბარს არც არავინ მკადრებდა და არც პირობას მომთხოვდა. კობა ჩემი მეგობარი და თანამოაზრეა და ამით ყველაფერია ნათქვამი.

— **თუ შემოგთავაზეს, დათანხმდებით?**

— ვნახოთ... 31 მაისს ნაკრები პარაგვაის ეთამაშება და მერე თბილისში დაბრუნდება. ბატონი ილია კოკაიაც ამის შემდეგ დააფიქსირებს საკუთარ პოზიციას.

— **„ზესტაფონის“ შეკრებას როდიდან გეგმავთ?**

— ივნისის დასაწყისში გუნდი სამედიცინო შემოწმებას გაივლის, მერე კი ავსტრიაში შეკრებაზეც წავალთ — ეს უკვე გადაწყვეტილი ამბავია.

— **საკადრო ცვლილებები რამდენად არის მოსალოდნელი, უკვე ხომ არ დაუტოვებია გუნდი ვინმეს?**

— ყველა ფეხბურთელს კონტრაქტი აკავშირებს კლუბთან, პირობებიც ჩინებული აქვთ და ასეთ ვითარებაში ვის უნდა ჰქონდეს წასვლის სურვილი?! პირიქით, კი ბატონო — კლუბის პრეზიდენტმაც ბრძანა, რომ გაძლიერება ყველა რგოლში გვჭირდება. რამდენიმე ფეხბურთელით ვართ დაინტერესებულნი, თუმცა ჯერჯერობით გვარებს ვერ დავაკონკრეტებ.

გიორგი ნოზაძე

პირველი ივნისი არჩევნების დღეა

აღმასკომს რევიზია არ ემუქრება

მერაბ კოჭლაშვილთან საუბრის შემდეგ, ბუნებრივია, ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის კომენტარის საჭიროება გაჩნდა. აღმასკომის გადაწყვეტილების რაიმე ფორმით რევიზია ამ ორგანოს ავტორიტეტისთვის დიდი დარტყმა იქნებოდა. როგორც ფედერაციის გენმდივან უჩა უგულავასთან საუბრიდან შევიტყვეთ, აღმასკომს „არაფერი ემუქრება“...

ბადრი ჯეთილაძის ფოტო

— **„ზესტაფონთან“ დაკავშირებით ცოტა უცნაური ვითარება შეიქმნა: აღმასკომმა კორჟიკაშვილს არჩევანის გაკეთება სთხოვა, ის კი ამჟამად გერმანიაში ნაკრებთან ერთად იმყოფება. ამის მიუხედავად კლუბში მთავარ მწვრთნელად მასვე თვლიან...**

— ამ ვითარებას უცნაურობად არ ვთვლი. აღმასკომმა გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინა საქართველოს თასის ფინალის ფაქტორიც, ეროვნული ნაკრების გერმანული შეკრების ვადებიც და კობა ჟორჟიკაშვილს, ისევე როგორც მამუკა აბუსერიძეს, არჩევანის გაკეთება პირველ ივნისამდე სთხოვა.

— **მოსალოდნელია თუ არა, აღმასკომმა გადაწყვეტილება შეარბილოს ან მისი შესრულება გადაავადოს?**

— არანაირ შერბილება-გადავადებაზე საუბარი არ იქნება. პირველ ივნისს მწვრთნელებისგან საბოლოო პასუხს მივიღებთ.

გიორგი ნოზაძე

დინამოსთვის მეორეც კი ბოლოა

კახა კაჭარავას 16 და 36



თბილისის „დინამომ“ ქართული კლუბებიდან პირველმა დაიწყო ახალი სეზონისთვის მზადება. მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა კახა კაჭარავამ შეგირდები გუშინ დილმის ბაზაზე შეკრიბა და მსუბუქად ავარჯიშა. წინა სეზონის დინამოელებისგან გუნდში აღარ იყვნენ გიორგი შაშიაშვილი, ლადო ბურდული და ვიტალი დარასელია, ხოლო სლოვაკეთიდან დაბრუნებული 19-წლამდელი დინამოელები — ჩირიკაშვილი, თომაშვილი და კობახიძე მწვრთნელმა დაასვენა. სამაგიეროდ, გუშინ „დინამოსთან“ ერთად პირველად ივარჯიშა 23 წლის ბრაზილიელმა ფორვარდმა როდრიგო ტერნინმა, ვისაც თავის დროზე ბრაზილიის გარდა პორტუგალიაშიც უთამაშია.

მოგეხსენებათ, „დინამო“ ნლეულს ინტერტოტოს თასზე მონაწილეობს — პირველი მატჩი 18 ივნისს სომხურ „კილიკიასთან“ ელის, ამ მეტოქის გავლის შემთხვევაში კი ავსტრიელებს დაუპირისპირდება და ალბათ, ამიტომაც თბილისელები მოსამზადებელი პერიოდის ერთ-ერთ უცხოურ შეკრებას სწორედ ავსტრიაში გაივლიან. ეს ამბავი კახა კაჭარავამ გვითხრა, რომელსაც გუშინდელი ვარჯიშის შემდეგ ველაპარაკეთ...

— თბილისის „დინამო“ ჩემი ცხოვრებაა, ამ კლუბმა ძალიან ბევრი მომცა და ახლა, როცა ხელმძღვანელობამ მწვრთნელის მოვალეობის შესრულება დამავალა, უარს ვერ ვიტყოდი. მესმის, რომ ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა და მსურს, „დინამოს“ კეთილდღეობას ხელი შევუწყო.

— როგორ ფიქრობთ, მოვალეობის შემსრულებლად მუშაობა რამდენს ხანს მოგიწევთ?

— რა გითხრათ, ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. ჯერჯერობით კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით მწვრთნელის მოვალეობას ვასრულებ. დანარჩენი კი, როგორც კლუბში იტყვიან, ისე იქნება.

— თუმცა ახალ მწვრთნელს გარკვეული საფუძველი თქვენ უნდა დაახვედროთ...

— ერთს გეტყვით, ჩემი ხელმძღვანელობით „დინამო“ შემტევ ფეხბურთს ითამაშებს და ჩვენს გუნდს სხვანაირად არც ეკადრება. საფეხბურთო ხედვით და გონებით მხოლოდ შემტევი ფეხბურთის მიმდევარი ვარ.

— რა იქნება პირველი საქმე, რასაც კახა კაჭარავა „დინამოში“ გააკეთებს?

— ის, რომ ფეხბურთელებს ჩემს შეხედულებებს და მოთხოვნებს გავაცნობ. „დინამოში“ თამაშის შანსი ექნება ყველას, ვინც მოინდომებს და ამას დაიმსახურებს, ვისაც სურს, რომ მოიგოს. კახა კაჭარავასთვის ფეხბურთელის ასაკს მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, ჩემი მოთხოვნები დააკმაყოფილოს და 16 წლის იქნება თუ 36-ის, ყველა ითამაშებს.

— ითქვა, „დინამოს“ შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელიო...

— სადღეისოდ ვერ გეტყვით, ვინ დატოვებს გუნდს და ვინ მოვა. შეკრება დღეს დავიწყეთ, ფეხბურთელებს ორი-სამი კვირა დავაკვირდები და სათქმელსაც მერე ვიტყვი. თუმცა ვიმეორებ, „დინამოში“ ითამაშებს ის, ვინც ამას დაიმსახურებს, დანდობა არ იქნება. ყველა კარგ პირობებში მოემზადება, კლუბის ხელმძღვანელები არაფერს გაგვიჭირვებენ.

— გუნდის გეგმები როგორია?

— ჯერჯერობით თბილისში მოვემზადებით, ინტერტოტოზე „კილიკიას“ ვეთამაშებით და 25 ივნისს ავსტრიაში გავემგზავრებით, სადაც 6 ივლისამდე დავრჩებით. იმედია, „კილიკიას“ მოვუგებთ და მეორე ეტაპზე ავსტრიულ გუნდსაც თბილისში ჩამოუსვლელად იქვე შევხვდებით. ისე კი, ავსტრიაში ხუთ ამხანაგურ მატჩს ჩავატარებთ. ხოლო ამჟამად მხოლოდ „კილიკიასთან“ შეხვედრაზე ვფიქრობ.

— საერთოდ?

— საერთოდ, რა თქმა უნდა, ქვეყნის ჩემპიონობაზე და თასის მოპოვებაზე. პირველი ადგილის გარდა „დინამოსთვის“ ყველა სხვა შედეგს ბოლო ადგილის ფასი აქვს. „კილიკიასთან“ მატჩამდე დრო ცოტა გვაქვს და ამ პერიოდში ისე ვერ მოვემზადებით, ძალა ჩემპიონატის ბოლომდე რომ გაგვყვეს, თუმცა „კილიკიასთან“ ღირსეულად თამაშისთვის ეს დრო საკმარისი იქნება.

— ჩემპიონატი ახსენეთ და, წინა სეზონში „დინამოს“ ჩავარდნაზე რას იტყვით, რისი ბრალი იყო?

— წინა სეზონი უკვე წარსულია და უკან მიბრუნება არ მსურს. რაც იყო, იყო... ახლა მხოლოდ მომავალზე ვფიქრობ.

კოტა ინასარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფრი კეთილაძის ფოტო

ტრაგედიას გადარჩენილი

გიორგი ელბაქიძის სამი გატაცება: ფეხბურთი, ფეხბურთი, ფეხბურთი...

17 წლის გიორგი ელბაქიძე ახლა იწყებს საფეხბურთო კარიერას, თუმც გულშემატკივრებმა მისი სახელი უკვე იციან — „ამერის“ მარცხენა მცველმა 13 მაისს „ზესტაფონთან“ საქართველოს თასის ფინალში 120 წუთი ითამაშა და თანაც, ძალიან საიმედოდ. ეროვნულის გარდა, ელბაქიძეს ყველა ასაკის ნაკრებში უთამაშია, თუმც თავადაც არ იცის, რატომ ვერ მოხვდა 19-წლამდელთა ნაკრებში ამასწინათ გასრულებული ევროშესარჩევი მატჩებისას.

ხისტი, ჟინიანი, ზოგჯერ უხეშიც, ანუ ცოტა არატიპიური ქართული სტილი — ასეთია ელბაქიძე მინდორზე, ხოლო ფეხბურთს იქით გატაცებაზე რომ ვკითხეთ, გვითხრა, მაგ კითხვას მხოლოდ ასე ვპასუხობ: ფეხბურთი, ფეხბურთი, ფეხბურთი...

— რა იყო მთავარი, რამაც „ამერს“ „ზესტაფონთან“ ფინალი მოაგებინა?

— უდიდესი მონდომება და ერთსულოვნება. ძირითადი დროის ბოლო წამებზე რომ ანგარიშს გაგითანაბრებენ და მაინც იმ ჟინით განაგრძობ თამაშს და მოიგებ, ეს ბევრს ნიშნავს. ამას მხოლოდ ძალიან შეკრული და ფსიქოლოგიურად კარგად მომზადებული გუნდები ახერხებენ. ასეთი თავდადება იმანაც გამოიწვია, რომ მატჩის წინ ეკლესიაში ვიყავით, სულიერი სიმშვიდე მოვიპოვეთ.

— ეკლესიურად ცხოვრობ?

— სამწუხაროდ, ვერა. ისე კი, ცხადია, მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ.

— „ზესტაფონთან“ თამაშისას თუ იყო მომენტი, როცა იგრძენი, რომ აუცილებლად მოიგებდით?

— კი. როცა რატი წინამძღვრიშვილმა მეორე გაიტანა, მაშინ.

— და რომ წაგეგოთ, ეს შენთვის ტრაგედია იქნებოდა?

— ძნელად გადავიტანდი. კი, ალბათ, ტრაგედია იქნებოდა. კარიერა ხომ წინ მაქვს და თითქოს ერთი მატჩის წაგება რაა, მაგრამ საოცრად დამუხტული ვიყავით მეც და მთელი გუნდიც.

— 17 წლის ბიჭმა ასეთ დრამატულ მატჩში 120 წუთი ითამაშე, ნერვიულობას და დაღლილობას გაუძელი?

— შეიძლება ითქვას, თავი გადავდე. ნერვიულობა ნაკლებად, დაღლას უფრო ვგრძნობდი.

— მატჩისშემდგომი პენალტები ხუთ-ხუთი დარტყმის შემდეგაც რომ გაგრძელებულიყო, გაბედავდი დარტყმას?

— ბოლო ვურტყამდი, ასე ვიყავით მოლაპარაკებულნი. ახალგაზრდა, გამოუცდელი ვარ და არ მინდოდა, ამხელა მისია მეკისრა. ასე რომ, მეთერთმეტე პენალტზე რომ ავსულიყავით, მაშინღა მომიწევდა დარტყმა.

— ჰაინც ტოპმიოლერმა რომ სლოვაკეთში არ წაგიყვანა, ალბათ, ძალიან გეწყინა...

— ამის მიზეზს ვერ გეტყვით. ცუდია, რომ ნაკრები მხოლოდ მესამე ადგილზე გავიდა — ესაა მთავარი, თორემ ჩემი არწაყვანა რა მოსატანია...

— ხისტი მცველი ხარ, ხშირად უხეშობ და რამდენჯერმე წითელი ბარათიც მიგიღია. მწვრთნელები ამაზე არ გსაყვედურობენ?

— სიხისტე არ არის ცუდი თვისება და მწვრთნელი ამაზე არასდროს მისაყვედურებს. აი, ნერვებს თუ ავყევი და უადგილოდ ვიუხეშე, მაშინ სხვა ამბავია.

— და ხშირად ვერ თოკავ ნერვებს?

— ხანდახან ასეც ხდება. ბოლო დროს ამ მხრივ გამოვსწორდი, აი, თასის ფინალშიც რამდენი იყო სანერვიულო, მაგრამ მშვიდად ვიყავი.

ილია ნანოგაშვილი

ჩიხურაში ქასრაშვილი დაინიშნა

მალე საჩხერელების მადაც გაირკვევა

უმაღლეს ლიგაში აღზევებულ საჩხერის „ჩიხურას“ ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს — ხვიჩა ქასრაშვილი, რომელიც ბიძინა ბრეგვაძეს შეცვლის.

ქასრაშვილი წინა სეზონში ბოლნისის „სიონის“ თავკაცი იყო და მისი ხელმძღვანელობით გუნდმა პირველი წრე მეორე ადგილზე ჩაამთავრა, თუმცა მიუხედავად ამისა, მეორე წრის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ქასრაშვილი „სიონს“ ჩამოაცილეს.

„სიონში“ მისვლამდე ქასრაშვილი თბილისის „დინამოში“ მუშაობდა და 2004-05 წლების სეზონის მეორე ეტაპზე მცირე ხნით გუნდის მთავარი მწვრთნელის მოვალეობასაც ასრულებდა.

ქასრაშვილს „ჩიხურასთან“ კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, სავარაუდოდ, ხელშეკრულება ექვსთვიანი იქნება.

ამბობენ, ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის შემწეობით „ჩიხურა“ სერიოზული გუნდი იქნება მომავალ სეზონშიო. ქასრაშვილი დღეს უნდა შეხვდეს უცხოეთიდან დაბრუნებულ „ჩიხურას“ ხელმძღვანელობას და ვინძლო უკვე ამ შეხვედრაზევე ითქვას, თუ რა მიზნებისთვის იბრძოლებს გუნდი და რომელი ფეხბურთელებით გაძლიერდება.

დავით თავართქილაძე

ბუხრაბ დოლენჯაშვილის ფოტო

იოზეფ რონალდინიო
ვინ გაიტანა 23 გოლი?

ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ რონალდინიო ინტერვიუზე პირველად დათანხმდა. მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს DPA-ს სააგენტოს კორესპონდენტი ესტუმრა. კიჭას ახალი მიზანი აქვს: ბრაზილიის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება

AFP

— პირველი ოფიციალური მატჩი 13 წლისამ ითამაშეთ და ერთბაშად 23 გოლი გაიტანეთ... მაშინ გეჩვენებოდათ, რომ ეს ფეხბურთში ყველაზე დიდი ბედნიერება იყო?

— იმ პერიოდში ჯერ კიდევ კოლეჯში ვსწავლობდი. რა თქმა უნდა, გამიხარდა, 23 რომ გავიტანე, რადგანაც სკოლაში უცბად სახელგანთქმულ ადამიანად ვიქეცი.

— ბურთს ყველა სხვა დანარჩენ ფეხბურთელზე უკეთ ფლობთ. მსოფლიოს ჩემპიონატისთვის განსაკუთრებულად ემზადებით?

— რაღაც ახლის მოფიქრება ყოველთვის შეიძლება. ერთ ადგილზე „გაყინვა" არ მიყვარს, სულ ვცდილობ, რომ როგორც ფეხბურთელი, გავიზარდო. ჩემპიონატისთვის სერიოზულად ვემზადები.

— კარლეს პუიოლმა აღნიშნა, რომ კატალონიური გრანდის გასახდელში თქვენს მისვლასთან ერთად მხიარულებაც დაბრუნდა...

— მე ბედნიერი ვარ და ჩემთვის ყველაზე სახალისო საქმეც ვარჯიში და თამაშია. ყოველთვის ვხუმრობთ, როცა თანაგუნდელები ერთმანეთს ვეთამაშებით.

— გაიხსენებთ, უკანასკნელად ნაღვლიანი როდის იყავით?

— ნორმალური ადამიანი ვარ და ხანდახან მეც მოვიწყენ ხოლმე. ხან ვბრაზობ კიდეც.

— მსოფლიოს ჩემპიონატზე ვისაუბროთ. რომარიო 1994 წელს იყო მთავარვარსკვლავი, რონალდო 2002-ში... იქნებ გერმანიაში მესამე „როს", რონალდინიოს დრო მოვიდა?

— ვფიქრობ, ეს ბრაზილიის ნაკრების მუნდიალი იქნება და არა ჩემი. მაგას რა სჯობია, მსოფლიოს ჩემპიონები მეექვსედაც რომ გავხდეთ.

— და თქვენ, მუნდიალის საუკეთესოდ რომ დაგასახელონ...

— არა. მე თავს ფეხბურთელად ვგრძნობ, რომელიც მაღალ დონეზე თამაშობს და ეს ძალიან მსიამოვნებს. საკუთარი თავით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ამავდროულად ვხვდები, რომ ოსტატობის უფრო დახვეწაა საჭირო და წვრთნა-მუშაობის შეწყვეტასაც არ ვაპირებ.

— დღეს მსოფლიოში, ვინმე რონალდინიოზე უკეთესად თამაშობს?

— მსოფლიოში მაღალი კლასის ფეხბურთელებს რა გამოლევს. ყოველდღიურად ვხდებით ამის მოწმენი.

— მაგალითად?

— ანრი, ზიდანი, რონალდო, ადრიანო, რობინიო, კაკა, შევჩენკო, ინძაგი...

— ისტორიაში შესვლაზე თუ ფიქრობთ პელეს, მარადონას, ბეკენბაუერის, კრუიფის და დი სტეფანოს მსგავსად?

— ჩემი ოცნებაა, ამ მოთამაშეთა გზა განვაგრძო. მინდა, უამრავი ჯილდო მოვიგო, რომ რონალდინიოზე მრავალი წლის შემდეგაც ისე ილაპარაკონ, როგორც დიდ ფეხბურთელზე.

— ბრაზილიამ თუ მუნდიალი მოიგო, ამჟამინდელი ნაკრები ისტორიაში საუკეთესოდ უნდა ჩავთვალოთ?

— ნაკრებს ადრეც ჰყავდა ბრწყინვალე შემადგენლობა. მაგალითად, 1970 და 1982 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე. ასევე 2002-ის გუნდიც კარგი იყო და დღესაც გადასარევი ფეხბურთელები გვყავს. თუ წარმატებით ვითამაშეთ, სავსებით შესაძლებელია, ყველა დროის საუკეთესო ნაკრები გავხდეთ.

— თუმცა 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონი გუნდის ჯობნა გიჭირდებათ...

— ჯერ 2006-ის მუნდიალი მოვიგოთ.

— ვის შეუძლია მსოფლიოს ამ ჩემპიონატზე ბრაზილიის დამარცხება?

— ბრაზილიური ფეხბურთისთვის მუნდიალზე მეორე და უკანასკნელი ადგილი ერთი და იგივეა. ჩვენ სულ ჩემპიონობა გვსურს...

— რას ელით გერმანია 2006-სგან და მსოფლიოს პირველობა რანაირად წარმოგიდგენიათ?

— ვფიქრობ, რომ ამ ტურნირს კარგად მომზადებულნი ვხვდებით, ისევე როგორც 2005-ში, კონფედერაციათა თასის დროს. ხსენებული ტურნირი შესანიშნავად იყო ორგანიზებული, რაც მე ძალიან მომწონს.

— ყველაზე უფრო კარგად რომელი მუნდიალი გახსოვთ?

— 1994 წლის ჩემპიონატი. რადგანაც მაშინ ფეხბურთის შესახებ ბევრი რამ გავიგე. ამ დროს პატარა ვიყავი და ნაკრებში არავინ მიმიწვევდა. კარგი ის იქნებოდა, მაშინაც რომ მეთამაშა!

— საკუთარი თავი მცირე ხნით, ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერის ადგილზე წარმოიდგინეთ. რას შეცვლიდით თანამედროვე ფეხბურთში?

— არ ვიცი... ჩემთვის ფეხბურთი საოცრებაა, ყველაზე უკეთესი, რაც ცხოვრებაში მინახავს. ამიტომაც ვთვლი, რომ თანამედროვე ფეხბურთი სრულყოფილია.

— არგენტინელი ფეხბურთელებიდან ვისი თამაში მოგწონთ?

— სხვაზე უკეთ ლეო მესის ვიცნობ, რადგანაც „ბარსელონაში" თამაშობს. ძალიან ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე შესანიშნავი ფეხბურთელია. არგენტინულ ფეხბურთში ყველაზე მეტად ტექნიკა მომწონს.

— მესიმ რა სიმაღლეებს შეიძლება მიაღწიოს?

— ლეო ჩემი მეგობარია და ვფიქრობ, კარიერაში ბევრს მიაღწევს. მესის ყველა მონაცემი აქვს საამისოდ, ბრწყინვალე ფეხბურთელია და კარგი პიროვნება.

— ოდესმე, არგენტინელი რონალდინიოსაც აჯობებს?

—ყველას თავისი სტილი აქვს, მე ჩემი, ლეოს — თავისი. შედარებები არ მიყვარს.

— გართობის მიზნით ბრაზილიის გარდა რომელ ნაკრებში ითამაშებდით?

— ჩემი თავი სხვა სანაკრებო ფორმაში ნამდვილად ვერ წარმოგიდგენია.

— უკვე ჩამოგთვალეთ რამდენიმე ფეხბურთელი, რომლებსაც გინდათ, რომ გავუტოლდეთ. პელეზე რას იტყოდით?

— იგი ყველა დროის უდიდესი მოთამაშეა, ფეხბურთის მეფეა.

— მარადონა?

— მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო. მან და პელემ ფეხბურთის ისტორია შექმნეს.

— ბეკენბაუერი?

— მისი თამაში ცოცხლად არ მინახავს, მხოლოდ ვიდეოთი, მაგრამ ბეკენბაუერი ეპოქალური მოთამაშე გახლდათ და ფეხბურთში მის წვლილს ვერავინ დაივიწყებს.

მადლობა, არსენ!



რობერ პირესის ტრანსფერის ამბავი საბოლოოდ გადაწყდა. ფრანგი ნახევარმცველი მომავალ ორ სეზონს „ვილიარეალში" გაატარებს. მას „არსენალში" დარჩენა იმ შემთხვევაში სურდა, თუ კლუბი ორწლიან კონტრაქტს შესთავაზებდა. „მეთოფეების" თავკაცი არსენ ვენგერი კი 30 წელს გადაცილებულ ფეხბურთელებს მხოლოდ ერთი წლით უხანგრძლივებს კონტრაქტს.

„ექვსი ბრწყინვალე წლის და მრავალი წარმატების შემდეგ, „არსენალის" დატოვება გადავწყვიტე. დიდ მადლობას ვუხდი არსენ ვენგერს, თანაგუნდელებს და, რაც მთავარია, ქომაგებს მხარდაჭერისთვის. „ვილიარეალთან" მიღწეული შეთანხმებით კმაყოფილი ვარ და იმედია, თამაშის კიდევ უფრო გაუმჯობესებაში დავეხმარები" — განაცხადა პირესმა.

არსენ ვენგერი: „მან ჩვენთან დიდებული წლები გაატარა და წარმატებების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი იყო. რობერი არა მარტო კარგი ფეხბურთელი, არამედ ბრწყინვალე ადამიანია და, ცხადია, გული გვწყდება. დიდი მადლობა მას და ვუსურვებ ყველაფერ საუკეთესოს, როგორც კარიერაში, ასევე ცხოვრებაში".

პირესმა „ჰაიბერიზე" გატარებულ 6 წელიწადში „არსენალის" მაისურით 284-ჯერ ითამაშა და 84 გოლი გაიტანა. ამ სეზონში მან „მეთოფეებთან" ერთად ჩემპიონთა ლიგის ფინალს კი უწია, მაგრამ კარიერაში საუკეთესო წელი ნამდვილად არ ჰქონია. ამას ეროვნული ნაკრების მწვრთნელ რაიმონ დომენეკთან უთანხმოებაც დაერთო, რის გამოც იგი მუნდიალზე არ წაიყვანეს.

ძოკი კანდელაკი

ზე გააანალიზებს

ბრაზილიელი ნახევარმცველი ზე რობერტო მიუნხენის „ბაიერნს" ტოვებს და კარიერის გაგრძელებას არაგერმანულ კლუბში აპირებს.

„ვფიქრობ, გერმანიაში საკმარისი დრო გავატარე და ბევრი ტიტულიც მოვიგე. ამიტომ ცვლილებების დროა. ახლა მხოლოდ ეროვნულ ნაკრებზე და მსოფლიოს ჩემპიონატზე ვფიქრობ. შესაბამისად, ახალ კლუბს მუნდიალის შემდეგ მოვძებნი" — აღნიშნა ვეტერანმა სამხრეთამერიკელმა.

შეგახსენებთ, რომ ზე რობერტომ „ბაიერნთან" ერთად ბუნდესლიგა სამჯერ მოიგო, ხოლო გერმანიის თასი — ორჯერ. იქამდე კი იგი „ლევერკუზენში" იყო და 2002 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც ითამაშა, სადაც თავის ყოფილ კლუბ მადრიდის „რეალთან" დამარცხდა.

„ევროპაში ისეთ კლუბებში მითამაშია, როგორებიც „ლევერკუზენი", „ბაიერნი" და „რეალი" არიან. ასე რომ, ყველა კარგად მიცნობს და რამდენიმე შემოთავაზება უკვე მივიღე კიდეც. ყველაფერს გავაანალიზებ და ალბათ, ივლისში ახალ გუნდში ვიქნები" — თქვა რობერტომ.

ძოკი კანდელაკი

პრეზიდენტი გაქცეულებს დაეწია

ფრანცო გრანდე სტივენსი

„იუვენტუსში“ გადადგომები გრძელდება. როგორც მოსალოდნელი იყო, გუნდის პრეზიდენტმა ფრანცო გრანდე სტივენსმაც პოსტი დატოვა. თუ ჯანი ანიელის შვილიშვილ ჯონ ელკანს ვენდობით, რომელიც ახლა „იუვეს“ მფლობელად ითვლება, ახალი პრეზიდენტი გუნდის ყოფილი დიდი ფეხბურთელი გახდება, მაგრამ არა ფრანგი. „ახლა გამოცდილი პროფესიონალი გვჭირდება, რომელმაც თავისი საქმე და ამასთანავე „იუვენტუსის“ ისტორია და ტრადიციები ჩინებულად იცის“ — აღნიშნა ელკანმა.

მიშელ პლატინი და დიდიე დეშანი, რომლებსაც იტალიური პრესა ხშირად ახსენებდა, გამოირიცხნენ. ახლა საუბარია ოთხ კანდიდატზე — დინო ძოფზე, ჯანლუკა ვიალიზე, ჯამპიერო ბონიპერტიზე და ფრანკო კაუზიოზე.

ჯონ ელკანი: „გრანდე სტივენსმა დიდი შრომა გასწია და იგი პრეზიდენტი აღარ იქნება, მაგრამ კლუბში დარჩება და ყველანაირად დაგვეხმარება. მინდა, აქვე ვთქვა, რომ დირექტორთა საბჭოში ანიელების ოჯახის არცერთი წარმომადგენელი არ შევა“.

ამ განცხადებით კი დირექტორთა რიგებში ანდრეა ანიელის მოსვლა გამოირიცხა, რაზეც ასევე საუბრობდნენ. ელკანმა ის სკუდეტოებიც ახსენა, რომლის წართმევასაც უპირებენ „იუვეს“: „ბოლო ორი სკუდეტო ისევე დამსახურებულად მოვიპოვეთ, როგორც წინა 27. ასე რომ, იმედია, მათ არავინ შეეხება“.

გიორგი კაკაბაძე

ლიგის პრეზიდენტი ადრიანო გალიანი ვერ გააგდეს

გალიანი სკამს მიეწებება

მიუხედავად იმისა, რომ პრესაში საკმაოდ კატეგორიული წერილები გამოქვეყნდა, სერია A-სა და სერია B-ს კლუბებმა „ლეგა კალჩოს“ ანუ იტალიის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტს ადრიანო გალიანის მხარი დაუჭირეს.

„სკანდალში ლიგა არანაირად არ მონაწილეობს — განაცხადა, მაგალითად, „ბრეშას“ პრეზიდენტმა ჯინო კორიონიმ — მას რევოლუცია არ სჭირდება. აქ ყველაფერი ნათელი და სუფთაა. ლიგის თანამშრომლები არავის გამოუჭერია დანაშაულებრივ სატელეფონო საუბრებში, ასე, რომ ნერვიულობა სრულიად ზედმეტია. ერთადერთი, რაც გვევალება ზოგი წესის შეცვლაა და ჩვენ, სერია A-სა და სერია B-ს გუნდების ხელმძღვანელებმა მოვილაპარაკეთ, ერთ თვეში უფრო დახვეწილი წინადადებებით შევიკრიბოთ“.

მოგეხსენებათ, გალიანი, რომელიც „ლეგა კალჩოს“ პრეზიდენტობის გარდა „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტიცაა, ერთადერთია იტალიური ფეხბურთის დიდმოხელეთა შორის, რომელიც ბოლო დროს ატეხილი სერიოზული სკანდალის გამო თანამდებობიდან არ გადამდგარა. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ლიგაში შემავალი კლუბების მხარდაჭერის მიუხედავად გალიანის გადადგომას კვლავ ითხოვს მისი მოადგილე, უფრო ზუსტად კი ვიცე-პრეზიდენტი, „პალერმოს“ პატრონი მაურიციო ძამპარინი.

„ლიგაში მთელი მთავრობა შეიცვლელია, მაგრამ თუ მხარი არ ამიბეს, მაშინ, აგვისტოში მარტო მე გადავდგები. შეკრების დასაწყისშივე ვთქვი, რომ ხელმძღვანელობა რადიკალურად არის შესაცვლელი და ეს ორ თვეში უნდა მოხდეს. ჩვენს ლიგას უნდა ხელმძღვანელობდეს ადამიანი, რომელიც არც ერთ კლუბში არ იმუშავებს და მხოლოდ ასე შეეძლებთ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას. უნდა გითხრათ, რომ ჩემი მოსაზრება საკუთრივ გალიანისა და „ლაციოს“ პრეზიდენტის კლაუდიო ლოტიტოს გარდა ყველამ გაიზიარა“.

მაგრამ, გალიანიმ და მისმა მხარდამჭერებმა საკადრო ცვლილებებიდან, ყურადღების წეს-კანონთა ცვლილებაზე გადატანა სცადეს.

გალიანი: „ისევე, როგორც გვიდო როსი ფეხბურთის ფედერაციაში, ჩვენც წესების შეცვლაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება და ეს რაც შეიძლება ჩქარა უნდა გავაკეთოთ. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ჩვენ საგანგებო კომისიონერი არ გვჭირდება, საკუთარი ძალებით გავართმევთ ამოცანას თავს. მე კი თანამდებობიდან არავითარ შემთხვევაში არ გადავდგები, რადგან სკანდალი ლიგასთან არაფერ შუაშია. სხვა საქმეა თუ ისეთ ახალ კანონს შემოიღებენ, რომლის თანახმადაც „ლეგა კალჩოს“ პრეზიდენტობის უფლება არ ექნება მისი წევრი 42 კლუბის თანამშრომელთაგან არც ერთს“.

პაპუნა კედია

ჭონიმ ადრიანოს ჭონი შეუცვალა

მილანის „ინტერის“ ბრაზილიელმა ფორვარდმა ადრიანომ რამდენიმე დღის წინ თქვა, გუნდში ვრჩებიო, მაგრამ ახლა სხვაგვარად ალაპარაკდა. მან ბრაზილიელ ჟურნალისტებს განუცხადა, შესაძლოა, წავიდე კიდეც, რადგან „ნეროაძურში“ თავს კარგად ვეღარ ვგრძნობო.

„ეროვნულ ნაკრებთან ერთად შეკრებაზე რომ ვარ, სიამოვნებას ვიღებ, „ინტერში“ კი იგივე არ ხდება. აქ ყველას ვუყვარვარ და თითოეული თანაგუნდელისგან სითბოს ვგრძნობ. თანაც შესაშური სიმშვიდე და მხიარულობაა“ — განაცხადა თავდამსხმელმა.

ადრიანოსთვის, ალბათ, გასული სეზონი ყველაზე ცუდი იყო იტალიაში. იგი ძალიან არადამაჯერებლად თამაშობდა და ცოტა გოლი გაიტანა. მერე მილანელთა თავკაც რობერტო მანჩინისთან და ნახევარმცველ ხუან სებასტიან ვერონთან უთანხმოება მოუვიდა. „ნეროაძურის“ პრეზიდენტმა ჯაჩინტო ფაკეტიმ არცთუ წარმატებული სეზონი ადრიანოს უნიათო თამაშს დააბრალა. ახლა კი ამბობენ, „ინტერი“ ლუკა ტონის ყიდვას აპირებსო, რაც ბრაზილიელს მნიშვნელოვნად შეავიწროვებს და იგი ამითაც უკმაყოფილოა.

„ალბათ, ყველაფერი მუნდიალის მერე გადაწყდება. თუ „ინტერი“ ჩემს გაყიდვას გადაწყვეტს, იმედია, ისეთ კლუბს ვიპოვი, სადაც საკუთარი თავის მაქსიმალურ რეალიზებას შევძლებ. ახლა ყველაფერი გუნდის ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული. „ნეროაძურისთან“ ერთად ტიტულების მოგება ძალიან მინდა, მაგრამ თუ ამის შანსი არ არის, იქნებ წარმატებას სხვაგან მივაღწიო“ — დასძინა ბრაზილიელმა.

და ბოლოს, დიდი ხანია, ადრიანოს მადრიდის „რეალსა“ და ლონდონის „ჩელსის“ უკავშირებენ.

გიორგი კაკაბაძე

კარლიტო ემერსონს ჩაუსაფრდა

„მილანის“ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ უკვე საჯაროდ განაცხადა, რომ ემერსონის შეძენა სურს. „კარლიტომ“ ხელმძღვანელობას სთხოვა, ყველანაირად ეცადეთ ბრაზილიელის ყიდვას, თუ „იუვენტუსი“ ტრანსფერზე მის დაყენებას დააპირებსო. „ბებერ ქალბატონს“ სერია B-ში დაქვეითება ემუქრება და თუ ასე მოხდა, ემერსონი ნამდვილად დატოვებს „დელე ალპის“.

კარლო ანჩელოტი: „მომავალი სეზონისთვის ნახევარდაცვაში რამდენიმე დეტალი უნდა გამოვასწოროთ. საუკეთესო გამოსავალი ანდრეა პირლოსთვის კარგი მეწყვილის პოვნა იქნება. იდეალური ვარიანტი ემერსონის დარი ფეხბურთელია“.

ამასობაში „როსონერის“ ვეტერანი პლეიმეიკერი მანუელ რუი კოშტა ისევ გუნდიდან წასვლაზე ფიქრობს და მშობლიურ „ბენფიკაში“ დაბრუნება უნდა. 34 წლის ფეხბურთელს „სან სიროს“ დატოვება იმიტომ სურს, რომ ძირითად შემადგენლობაში ფაქტობრივად ვეღარ ხვდება.

„იმედია, მალე „ბენფიკას“ მოთამაშე გავხდები და კარიერასაც იქ დავასრულებ. თუმცა ჯერ გადაწყვეტილი არაფერია და „მილანთან“ კონტრაქტიც მაკავშირებს. ბევრი რამ უახლოეს დღეებში გაირკვევა. „სან სიროზე“ კიდევ ერთი სეზონით დარჩენას არ გამოვრიცხავ“ — თქვა რუი კოშტამ.

გიორგი კაკაბაძე

ქალმა დააჭერინა

„ნიუკასლ იუნაიტედის“ თავდამსხმელი კირონ დაიერი მავანი ქალის ჩივილის გამო დაიჭირეს. თუმცა, როგორც ინგლისური პრესისთვის სანდო წყაროებიდან გახდა ცნობილი, თავდებით გამოუშვეს კიდეც. ოღონდ, 27 წლის ფეხბურთელს საქმის შემდგომი გამოძიება არ ასცდება.

ამბავი ნორვიჩის ერთ სასტუმროში, წლის დასაწყისში მომხდარა, ოღონდ ეგაა, საკუთრივ დაზარალებულ ქალს საჯაროდ ვერა და ვერ ათქმევინეს დამნაშავე მართლა დაიერია თუ არა.

ფეხბურთელის აგენტი ჯონათან ბარნეტი კომენტარზე უარს ამბობს, ხოლო „ნიუკასლ იუნაიტედის“ პრეს-ცენტრში თითს ბარნეტისკენ იშვერენ.

პაპუნა კედია

პროკურატურამ მილანიც ამობეჭდა

მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებით იტალიაში აგორებულ სკანდალში ახალი სახელები გამოჩნდა. როგორც ჩანს, „მილანი“ „იუვენტუსზე“ არანაკლებ შარში ეხვევა. ცნობილმა აპენინურმა გამოცემამ „კორიერე დელა სერამ“ მორიგი სატელეფონო საუბრის სტენოგრამა დაბეჭდა, რომელშიც „რომსონერის“ წარმომადგენელი ლეონარდო მეანი იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთ ჩინოვნიკს ესაუბრება.

ეს სატელეფონო საუბარი გასული წლის 19 აპრილით არის დათარიღებული. მეანი ძალიან უკმაყოფილოა „სიენასთან“ მატჩში ერთ-ერთი თანამსაჯის, ჯენარო მაცეის ქმედებით. ის შეხვედრა „მილანმა“ 1:2 წააგო და გოლი არ ჩაუთვალეს. მეანი უხამსად მიმართავს და ფაქტობრივად უბრძანებს ფედერაციის მავან ჩინოვნიკს შემდგომში სხვა ლაინსმენის, კერძოდ, ანდრეა კონსალოს დანიშვნას. „ახლა კარგად მისმინე, გამოგვიგზავნე კონსოლო და არა მარტო „იუვენტუსთან“ მატჩში. გაიგე?“ — ეუბნება მეანი.

ანდრეა კონსოლო კი ის კაცია, ვისაც ლუჩანო მოჯიც ხშირად ითხოვდა თავის სატელეფონო საუბრებში. როგორც ჩანს, კონსოლოსთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვის ჩაუწყობდა მატჩს, ოღონდ პირადი სარგებელი ენახა.

ლეონარდო მეანი

მეანი „მილანის“ ერთადერთი წარმომადგენელია, ვის საქმესაც ნეაპოლის პროკურატურა იძიებს. მის გარდა ეჭვმიტანილად 40 ადამიანი ითვლება, აქედან 9 მსაჯი და 11 თანამსაჯი. „იუვენტუსისა“ და „მილანის“ პარალელურად კი პროკურატურა ჯერჯერობით მხოლოდ „ლაციოსა“ და „ფიორენტინას“ მაქინაციებს იძიებს, თუმცა დიდი შანსია, მალე საქმეში კიდევ რამდენიმე კლუბი გამოჩნდეს.

გიორგი ძაძაბაძე

ინგლისურმა „შეფილდ იუნაიტედმა“ „მანჩესტერ სიტიდან“ ფრანგი მცველი დავიდ სომეილი გადაიყვანა. 31 წლის ფეხბურთელმა პრემიერლიგაში აღზევებულ გუნდთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. სომეილი „სიტიმ“ 3 მილიონ გირვანქად „ბორდოდან“ იყიდა, მაგრამ ფრანგმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა.

გერმანულმა „ბოხუმმა“ „მაინცს“ უფასოდ წაჰგვარა 25 წლის ფორვარდი ბენჟამინ აუერი და ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. შეგახსენებთ, რომ „ბოხუმი“ ბუნდესლიგაში დაბრუნდა და შემადგენლობას აძლიერებს. აუერამდე, ბოხუმელებმა „არმინიადან“ კრისტოფ დაბროვსკი და „ჰერტადან“ ოლივერ შრიოდერი გადაიბირეს.

ფრანგული „რენის“ მარჯვენა მცველი როდ ფანი კლუბში კიდევ ერთი წლით დარჩება. 24 წლის ფანი „რენში“ შარშან გადავიდა „ლანსიდან“ და ძირითად შემადგენლობაში 21 მატჩი ითამაშა.

გერმანული „ნიურნბერგის“ სლოვაკ ფორვარდ მარეკ მინტალს ტრავმა მოუშუშდა და ივნისის ბოლოს ვარჯიშს დაიწყებს. მინტალმა პირველივე (2004-2005) ბუნდესლიგურ სეზონში 24 გოლი გაიტანა და საუკეთესო მეგოლე გახდა, მაგრამ შარშან შემოდგომაზე ფეხი მოიტეხა და სამკურნალო შეექნა.

ფრანგულმა „სედანმა“, რომელიც პირველ დივიზიონში გადავიდა, „ბასტიას“ ნახევარმცველი ფაბრის ჟო იყიდა და ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. 27 წლის ჟომ გასულ სეზონში 21 შეხვედრაში შვიდი გოლი გაიტანა. „სედანმა“ ჟომდე, ფაბრის ლემუანი და იოან ლაშური შეიძინა.

გერმანული „არმინიას“ ალბანელი თავდამსხმელი ფატმირ ვატა „პადერნბორნთან“ ამხანაგურ მატჩში ისე დაშავდა, რომ ექვსი თვე ვერ ითამაშებს. ვატას მუხლის მყესები გაუწყდა და ოპერაცია დასჭირდება.

სერბულმა „ცრვენა ზვეზდამ“ მწვრთნელად დუშან ბაჟევიჩი დანიშნა, რომელმაც ვალტერ ძენგა შეცვალა. ბაჟევიჩმა, ვისაც ფეხბურთელობისას იუგოსლავიის ნაკრებში 40-ჯერ უთამაშია, სერბეთის ჩემპიონ გუნდთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მწვრთნელობისას კი 1999 წელს, „ოლიმპიაკოსი“ გაიყვანა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში.

ინგლისურმა „ევერტონმა“ ალან სტაბსს კონტრაქტი ერთი წლით გაუხანგრძლივა. 34 წლის მცველი შარშან ზაფხულს „სანდერლენდს“ ათხოვეს, მაგრამ ინვარში დაუბრუნდა „ევერტონს“ და მწვრთნელი დაარწმუნა რომ კიდევ შეუძლია უმაღლეს დონეზე თამაში.



ტიტულმოწყურებული

რობერტო კარლოსმა განაცხადა, რომ ლონდონის „ჩელსისგან“ მართლაც მიიღო წინადადება, რომელზეც ახლაც ფიქრობს და ინგლისელებს პასუხს მუნდიალის დაწყებამდე ეტყვის.

„ლონდონელები სამწლიან კონტრაქტს მთავაზობენ. გადაწყვეტილებას მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე მივიღებ“ — აღნიშნა 33 წლის ფეხბურთელმა.

რობერტო კარლოსის „რეალიდან“ შესაძლო წასვლაზე ლამის მთელი წელია, ლაპარაკობენ და, როგორც ჩანს, ასეც მოხდება. აქვე შეგახსენებთ, რომ კარლოსი ეროვნულ ნაკრებში 1992 წლიდანაა. მან 1998 და 2002 წლების მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა და გერმანიის მუნდიალი მისთვის მესამე და სავარაუდოდ ბოლო იქნება.

„საქმე ფულში კი არა, ტიტულებშია. სამი წელია, „რეალს“ არაფერი მოუგია, ხოლო „ჩელსის“ ჩინებული პერსპექტივა აქვს. და ზედიზედ ორჯერ პრემიერლიგაში იმარჯვა. მადრიდელებთან კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და დავარღვევ თუ არა მას, 9 ივნისამდე გადავწყვეტ, რათა მუნდიალზე მშვიდად ვითამაშო“ — დასძინა კარლოსმა.

კოკი კანდელაკი

დაბრუნება ნაფეხურებზე

კატალონიურ „ესპანიოლს“ მომავალ სეზონში ერნესტო ვალვერდე გაწვრთნის, „ბილბაოს“ ყოფილი დამრიგებელი. ოთხშაბათს ღამით ბარსელონაში „ესპანიოლის“ წარმომადგენლები ბასკი მწვრთნელის აგენტ ინიაკი იბანიესს შეხვდნენ და ვალვერდეს გუნდში მიყვანა გადაწყვიტეს. ხელშეკრულებით, ექსბილბაოელი, რაულ ტამუდოსა და კომპანიას ერთი სეზონით უხელმძღვანელებს, თუმცა კონტრაქტში არსებობს მუხლი, რომლის მიხედვითაც ერნესტო ვალვერდე ტეხედორს „მონჟუიკზე“ კიდევ ერთი სეზონით შეუძლია დარჩენა, თუ, რა თქმა უნდა, „ესპანიოლის“ უფროსობას მისი მწვრთნელობა მოეწონა.

„ესპანიოლი“ ჩემთვის განსაკუთრებული გუნდია. პრიმერადივიზიონში პირველი ნაბიჯები სწორედ აქ გადავდგი და მოხარული ვარ, რომ „მონჟუიკს“ ვუბრუნდები“ — აღნიშნა გუშინ ერნესტო ვალვერდემ ჟურნალისტებთან საუბარში.

ბარსელონის მეორე გუნდმა ამ სეზონში კოპა დელ რეი მოიგო, მაგრამ ჩემპიონატს ვეღარ მიხედა და სეგუნდადივიზიონში გავარდნასაც ძლივს გადაურჩა. სამეფო თასი „ესტადიო მონჟუიკის“ ბიჭებმა მიგელ ანხელ ლოტინას თავკაცობით მოინადირეს.

ლადო ხომერიკი



ერნესტო ვალვერდე

ლაპორტამ ბავშვებზე ნადირობა აკრძალა

კატალონიური „ბარსელონას“ პრეზიდენტი ხუან ლაპორტა უკმაყოფილოა „არენალის“ საქციელით, რომელიც „ბარსას“ ახალგაზრდა ფეხბურთელებისადმი გადამეტებულ ინტერესს იჩენს. შეგახსენებთ, რომ ესპანურ გრანდს ამსტერდამის „აიაქსთან“ ერთად, მსოფლიოში ყველაზე ძლიერი საფეხბურთო სკოლა აქვს.

ამჟამინდელი „არსენალის“ ერთ-ერთი ლიდერი ფრანსესკ ფაბრეგასი „მეთოფეებს“ სწორედ „ბარსელონადან“ ჰყავთ ნაყიდი. ახლა კი თვალი კატალონიელთა ორ ამომავალ ვარსკვლავს — ებრაელ ასულინ გაისა და ფრანგ მერიდას დაადგეს. ამ ფეხბურთელებს თურმე „არსენალის“ თანაქალაქელი „ჩელსიც“ უტრიალებს, თუმცა კატალონიელებს მათი შენარჩუნება უნდათ.

ხუან ლაპორტა: “ჩვენ ახალგაზრდა ფეხბურთელების აღზრდაში 7 მილიონი ევრო ჩავდეთ, ხოლო ინგლისური კლუბები სერიოზულ პრობლემებს გვიქმნიან. იქამდე მათ ფრანგული კლუბების ნიჭიერი ახალგაზრდები დაისაკუთრეს და ბევრი მათგანი წაახდინეს, ახლა კი ჩვენსკენ გადმოერთნენ. ბრიტანული გუნდები 14-16 წლის ბავშვებს ასტრონომიულ თანხებს სთავაზობენ, რამდენის გადახდის საშუალებასაც ჩვენ საკუთარ თავს ვერ ვაძლევთ. ეს უკვე მოხდა სესკ ფაბრეგასისა და ჟერარდ პიკეს შემთხვევაში. ამჟამად მერიდასა და გაის წაყვანა უნდათ, მაგრამ, იმედია, არ გამოუვათ. ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ ინგლისელებს თავიანთი ახალგაზრდული სკოლები არ აქვთ და პერსპექტიულ მოთამაშეებზე სხვაგან „ნადირობენ.“

კოკი კანდელაკი

მსოფლიოს თასი

გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

FIFA FUSSBALL-WELTMEISTERSCHAFT DEUTSCHLAND 2006

მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიიდან. D ჯგუფი: მექსიკა, ირანი, ანგოლა, პორტუგალია

მექსიკა

1930 ურუგვაი

ჯგუფური ეტაპი
არგენტინა 6:3 მექსიკა
საფრანგეთი 4:1 მექსიკა
ჩილე 3:0 მექსიკა

1950 ბრაზილია

ჯგუფური ეტაპი
ბრაზილია 4:0 მექსიკა
იუგოსლავია 4:1 მექსიკა
შვეიცარია 2:1 მექსიკა

1954 შვეიცარია

ჯგუფური ეტაპი
საფრანგეთი 3:2 მექსიკა
ბრაზილია 5:0 მექსიკა

1958 შვედეთი

ჯგუფური ეტაპი
შვედეთი 3:0 მექსიკა
უელსი 1:1 მექსიკა
უნგრეთი 4:0 მექსიკა

1962 ჩილე

ჯგუფური ეტაპი
ბრაზილია 2:0 მექსიკა
ესპანეთი 1:0 მექსიკა
მექსიკა 3:1 ჩეხოსლოვაკია

1966 ინგლისი

ჯგუფური ეტაპი
ინგლისი 2:0 მექსიკა
საფრანგეთი 1:1 მექსიკა
ურუგვაი 0:0 მექსიკა

1970 მექსიკა

ჯგუფური ეტაპი
მექსიკა 0:0 სსრკ
მექსიკა 4:0 სალვადორი
მექსიკა 1:0 ბელგია

მეოთხედფინალი
იტალია 4:1 მექსიკა

1978 არგენტინა

ჯგუფური ეტაპი
გფრ 6:1 მექსიკა
ტუნისი 3:1 მექსიკა
პოლონეთი 3:1 მექსიკა



უგო სანჩესი

1986 მექსიკა

ჯგუფური ეტაპი
მექსიკა 2:1 ბელგია
მექსიკა 1:1 პარაგვაი
მექსიკა 1:0 ერაყი

მერვედფინალი
მექსიკა 2:0 ბულგარეთი

მეოთხედფინალი
გფრ 0:0(პენ.4:1) მექსიკა

1994 აშშ

ჯგუფური ეტაპი
მექსიკა 2:1 ირლანდია
ნორვეგია 1:0 მექსიკა
იტალია 1:1 მექსიკა

მერვედფინალი
ბულგარეთი 1:1(პენ.3:1) მექსიკა

1998 საფრანგეთი

ჯგუფური ეტაპი
ს.კორეა 1:3 მექსიკა
ბელგია 2:2 მექსიკა
ჰოლანდია 2:2 მექსიკა

მერვედფინალი
გერმანია 2:1 მექსიკა

2002 ს.კორეა-იაპონია

ჯგუფური ეტაპი
ხორვატია 0:1 მექსიკა
ეკვადორი 1:2 მექსიკა
მექსიკა 1:1 იტალია

ირანი

1978 არგენტინა

ჯგუფური ეტაპი
ჰოლანდია 3:0 ირანი
პერუ 4:1 ირანი
შოტლანდია 1:1 ირანი

1998 საფრანგეთი

ჯგუფური ეტაპი
აშშ 1:2 ირანი
იუგოსლავია 1:0 ირანი
გერმანია 2:0 ირანი

ანგოლა

დებიუტანტი

პორტუგალია

1966 ინგლისი

ჯგუფური ეტაპი
პორტუგალია 3:0 ბულგარეთი
პორტუგალია 3:1 უნგრეთი
პორტუგალია 3:1 ბრაზილია

მეოთხედფინალი
პორტუგალია 5:3 კსდრ

ნახევარფინალი
ინგლისი 2:1 პორტუგალია

მესამე ადგილისთვის
პორტუგალია 2:1 სსრკ

1986 მექსიკა

ჯგუფური ეტაპი
პოლონეთი 1:0 პორტუგალია
პორტუგალია 1:0 ინგლისი
მაროკო 3:1 პორტუგალია

2002 ს.კორეა-იაპონია

ჯგუფური ეტაპი
აშშ 3:2 პორტუგალია
პორტუგალია 4:0 პოლონეთი
პორტუგალია 0:1 ს.კორეა

მკვახეები ალპებში

საფრანგეთის ნაკრების ბანაკში განხეთქილებაა. როგორც ამბობენ, ალპურ ტიგნესში მდებარე საწვრთნელ ბაზაზე ლურჯების მეკარე გრეგორი კუპემ მწვრთნელ რაიმონ დომენეკთან იჩხუბა. იმასაც ამბობენ, რომ კუპე შეკრებიდან გაიქცა, თუმცა გუნდის პრეს ატაშემ გაქცევის ამბავი უარყო. მისი თქმით, „ლიონის“ მეკარემ თავდაპირველად მართლაც შეკრა ბარგი, ოჯახს ხელი ჩაჰკიდა და ტიგნესი მიატოვა, მაგრამ შემდეგ მალევე დაბრუნდა სასტუმროში.

პრეს ატაშის განცხადებას მალე საკუთრივ მწვრთნელის კომენტარიც მოჰყვა:

„დიახ, ჩვენს შორის პრობლემა იყო და მკვახე სიტყვები გავცვალეთ. კუპემ თავი დაკარგა, რაც ხდება. მსოფლიოს ჩემპიონატი დიდი მოვლენაა იმისათვის, ყველამ იოლად რომ გადაიტანოს, მაგრამ საერთო საქმე ყველას გვავალდებულებს საკუთარ სტრესებს მოვერიოთ.ის წავიდა და მერე მალევე დაბრუნდა. ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. შემდეგ ჩვენ პირისპირ ვილაპარაკეთ და რამდენადაც ვხვდები, პრობლემა მოგვარებულია“ — თქვა დომენეკმა.

ხოლო კუპეს გაცხარების მიზეზი ძნელი მისახვედრი არ არის. მოგეხსენებათ, დომენეკმა მსოფლიოს ჩემპიონატზე მთავარ მეკარედ ფაბიენ ბარტეზი დაასახელა, რაც სუკეთესო ფორმაში მყოფ კუპეს შეუძლებელია, მოსწონებოდა.

პაპუნა კედია

ტოგო ადებაიორის ტელეფონში ზის

ტოგოელი თავდამსხმელი ემანუელ ადებაიორი ბოლოს გაზეთების ფურცლებზე მწვრთნელ სტეფან კეშთან ჩხუბის გამო მოხვდა. ეს იყო 2006 წლის აფრიკის თასზე, საიდანაც ტოგო უფრო ძლიერმა გუნდებმა მალევე დაიფრინეს. თუმცა მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, ტოგომ მწვრთნელი გამოცვალა, პირადად ადებაიორი კი „არსენალში" გადავიდა და სხვა სიმაღლეზე ასული დღეს მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატზე ფიქრობს. ტოგოს ნაკრები, მოგეხსენებათ, მუნდიალზე პირველადაა და რაა გასაკვირი, აფრიკის შესარჩევი ზონის მთავარ ბომბარდირს, ბევრი საგანგებო იმედით რომ შეჰყურებდეს. მათ შორისაა გუნდის ახალი მწვრთნელი ოტო პფისტერი, რომელიც ემანუელს ცენტრალურ ფიგურად მიიჩნევს, მაგრამ ზედმეტმა ყურადღებამ ადებაიორი შეიძლება დათრგუნოს კიდეც

— ემანუელ, მსოფლიოს ჩემპიონატი სადაცაა დაიწყება. ფსიქოლოგიურ ზეწოლას ხომ არ გრძნობთ?

— შეიძლება ასეც ითქვას. მთელი ტოგო ჩემთან დარეკვას ცდილობს. არ დაგავიწყდეთ, რომ აფრიკის თასი სერიოზულად ჩავაგდეთ და, ამიტომ, ახლა პრესტიჟის აღდგენა გვევალება. ცხადია, ეს ძალიან ძნელი ამოცანაა, მაგრამ ვგრძნობ, რომ სწორ გზაზე ვართ.

— როგორ უნდა მიუდგეთ საფრანგეთთან, შვეიცარიასთან და კორეასთან თამაშებს?

— ჩვენ მართლაც პატარა გუნდი გვყავს, მეტოქეები კი ძნელად დასამარცხებელი გვერგო. ჩემს თანაგუნდელებს უკვე ვუთხარი, რომ უპირველეს ყოვლისა ამ თამაშებში მიღებულ გამოცდილებასა და გაკვეთილებზე ფიქრი გვევალება. გერმანიაში სწავლისა და ოსტატობის ასამაღლებლად მივდივართ. გვინდა ჩვენს ოჯახებს, მეგობრებსა და მთელ აფრიკას რაიმე ახალი და საინტერესო შევთავაზოთ.

— წლის დასაწყისში „არსენალში" გადახვედით, რის გამოც უფრო ნაკლები გაქვთ ნათამაშები ვიდრე თქვენს თანაგუნდელებს. ეს თქვენი უპირატესობაა თუ ნაკლი?

— არსენ ვენგერის ხელში დასვენებამ მომიწია და ამიტომ თავს საკმაოდ ყოჩაღად ვგრძნობ. ვნახოთ, რა მოხდება. ეს ფეხბურთელისთვის კარგია თუ ცუდი, მუნდიალზე გამოჩნდება. ერთი, რაც ნამდვილად ვიცი, ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება ჩემპიონატი. მეტიც, ვშიშობ ზედმეტი მოტივაციისგან არ გადავიწვე და ამიტომ საკუთარ თავს ზედმეტ მოთხოვნებსაც არ ვუყენებ.

— კონკრეტულად, საფრანგეთთან თამაშზე გვინდა გკითხოთ. როგორ წარმოგიდგენიათ ტოგოსა და საფრანგეთის შეხვედრა?

— ეს, რა თქმა უნდა, მთელი ტოგოსთვის ძალიან დიდი მოვლენა იქნება. ჩვენს ქვეყანას საფრანგეთთან ხომ სპეციფიკური ისტორიული კავშირი აქვს და ბევრი ჩემი თანამემამულისთვის საფრანგეთის ნაკრების დამარცხება დიდი ბედნიერება იქნება. ერთი სიტყვით, ეს მხოლოდ ფეხბურთი არაა, ფრანგებთან თამაში სხვა დატვირთვას მიიღებს. ჩვენ, ტოგოელები ამ დღისთვის ისევე უნდა ვიყოთ მზად, როგორც ნაწინასწარმეტყველები ბრძოლის დღისთვის. ჩვენთვის შედეგზე მთავარი მიწაზე მყარად დადგომა და ფრანგების წინააღმდეგ ღირსეული თამაშია. პირადად მე მხოლოდ ეს, ღირსების მხარე მაინტერესებს.

— ტოგომ აფრიკის თასზე მხოლოდ მოედანზე კი არა, მოედნის მიღმაც გაიფუჭა სახელი.

— ყველამ კარგად იცის, როგორ გამოვვარდით შეჯიბრების პირველივე ეტაპიდან. ეს ტოგოს ფეხბურთის ფედერაციას, მწვრთნელსა და მოთამაშეებს შორის არსებული პრობლემებით იყო განპირობებული. ჩვენი შეცდომების ამბავი კარგად მოგვეხსენება, მაგრამ ახლა, ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა და ერთადერთი, რაც გვაინტერესებს მსოფლიოს ჩემპიონატია. ეს ის შეჯიბრებაა, რომელზედაც დიდი ხანია ვოცნებობდით, მას მერე, რაც ტელევიზორში პირველი მუნდიალი ვნახეთ. ვიმეორებ, ყველა შეხვედრაში რომც დავმარცხდეთ, მთელ მსოფლიოს უნდა ვაჩვენოთ, რომ ჩვენ გამარჯვებებს დახარბებული ერი ვართ და მომავალში აუცილებლად მივაღწევთ შედეგს.

ამხანაგური მატჩები

ოზური გოლი

ავსტრალია 1:0 საბერძნეთი
1:0 სკოკო (16)

ავსტრალიის ნაკრებმა მელბურნის „კრიკეტ გრაუნდზე" შეკრებილი 95 ათასი ქომაგი გაახარა. ოზები წინასამუნდიალოდ ამხანაგურად გაეჯიბრნენ ევროპის ჩემპიონ საბერძნეთს და მეტოქე ფაქტობრივად ყველაფერში დაჯაბნეს.

გუს ჰიდინკის შეგირდებმა თავიდანვე შეტევებით დაიწყეს და მთელი მატჩის მანძილზე დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ. ავსტრალიელები ბურთს ჩინებულად აკონტროლებდნენ და ჭკვიანურად თამაშობდნენ. ბერძენთა მეკარე ანტონიოს ნიკოპოლიდისს თავი რომ არ გაეგიჟებინა და ოზების შემტევებიც, მარკ ვიდუკას თამადობით, ცოტა უფრო ზუსტნი ყოფილიყვნენ, ანგარიშში სხვაობა უფრო დიდი იქნებოდა.

გოლი მე-16 წუთზე გავიდა, როდესაც მარკ ბრეშიანოს კუთხურს ბერძენთა საჯარიმოში არეულობა მოჰყვა, საბოლოოდ ბურთი საჯარიმოს მისადგომებთან მყოფი იოსიპ სკოკოსკენ წავიდა და „სტოკ სიტის" ნახევარმცველმაც ლამაზი და ძლიერი დარტყმით ბურთი ცხრიანში გაგზავნა.

ავსტრალიელთა შემადგენლობა ძირითადი იყო და გუს ჰიდინკიც შეგირდების თამაშით კმაყოფილი დარჩა. ახლა ჰოლანდიელი, ოზებს თავის სამშობლოში წაიყვანს სავარჯიშოდ, ხოლო 4 ივნისს როტერდამში „ნარინჯისფერებთან" ამხანაგურ მატჩს გამართავს. ამის მერე კი ავსტრალია, პირველად ბოლო 32 წლის მანძილზე, მსოფლიოს ჩემპიონატზე გაემგზავრება.

ძოკი კანდელაკი

ფრე მადრიდში გაფრენამდე

ეკვადორი 1:1 კოლუმბია
1:0 კასტილიო (52), 1:1 სოტო (55)

ეკვადორის ნაკრებმა საგერმანიოდ მზადება ამერიკაში დაიწყო და ნიუ იორკში კოლუმბიას ამხანაგურად გაეჯიბრა. ეკვადორელთა მწვრთნელმა ლუის სუარესმა ძირითადი შემადგენლობის მხოლოდ ოთხი ფეხბურთელი ათამაშა თავიდან, მეორე ტაიმში კი კიდევ ხუთი შეიყვანა, მაგრამ მაინც ვერ მოუგო კოლუმბიას.

სუარესმა 4-3-3 სქემა სცადა და მისი გუნდი გრძელი პასებით თამაშობდა, რის გამოც პირველ ტაიმში შვიდჯერ მოხვდნენ თამაშგარე მდგომარეობაში.

ანგარიში კასტილიომ გახსნა — საჯარიმოს წინა ხაზთან მცველებმა ხელი ვერ შეუშალეს და ზუსტად დაარტყა.

სამი წუთის შემდეგ კი გოლის ავტორის შეცდომით კოლუმბიელებმა ისარგებლეს — კასტილიოს სოტო გაექცა და ცაციათი მეკარისგან მარჯვენა კუთხეში გაიტანა. კარში კი ეკვადორელთა სათადარიგო მეკარე კრისტიან მორა იდგა.

„გოლით გავიხარე, მაგრამ საწყენია, რომ მერე შევცდი" — თქვა კასტილიომ, ხოლო ლუის სუარესმა განაცხადა: „შეტევის ბოლო ფაზაში ვცდოდავდით, თუმც გუნდის თამაშით მაინც კმაყოფილი ვარ. მსურდა, რომ მეტი ემოძრავათ და ებრძოლათ, რაც შეასრულეს კიდეც".

ეკვადორი შეკრებას ესპანეთში განაგრძობს და ზეგ მადრიდში მაკედონიის ნაკრებს შეხვდება.

ვაჟა ხუციშვილი

სარბიელი & კროკო

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პლეი ოფი						
		27 მაისი						
18:00	197	სუონსი-ბარნსლი	2.40	3.10	2.75	1.35	1.28	1.45
		28 მაისი						
18:00	198	გრიმსბი-ჩელტენემი	2.35	3.00	2.75	1.31	1.26	1.43
		ავსტრია. I დივიზიონი						
		26 მაისი						
21:00	19	აუსტრია(ლ)-შვანენშტადტი	1.35	4.10	7.00	1.01	1.13	2.58
21:00	20	გრაფკორნი-ალტახი	2.05	3.10	3.25	1.23	1.25	1.58
21:00	21	კერნტენი-კაფენბერგი	1.70	3.30	4.20	1.12	1.21	1.84
21:00	22	ლინცერი-კუფშტაინი	1.17	5.20	9.00	1.00	1.03	3.29
21:00	23	ლეობენი-აუსტრია(მ)	2.30	3.10	2.75	1.32	1.25	1.45
		ესპანეთი. II დივიზიონი						
		28 მაისი						
20:00	43	ალბასეტე-სერესი	2.40	3.00	2.70	1.33	1.27	1.42
20:00	44	ელჩე-სიუდადი	2.80	3.00	2.35	1.44	1.27	1.31
20:00	45	ფეროლი-ტენერიფე	2.45	3.00	2.65	1.34	1.27	1.40
20:00	46	ტარაგონა-ნუმანსია	1.80	3.00	4.30	1.12	1.26	1.76
20:00	47	ლევანტე-ვალიადოლიდი	1.55	3.40	5.50	1.06	1.20	2.10
20:00	48	ლეიდა-რეალი(ბ)	1.90	3.10	3.65	1.17	1.24	1.67
20:00	49	ლორკა-ეიბარი	1.25	4.50	10.00	1.00	1.11	3.10
20:00	50	მალაგა ბ-ალმერია	4.20	3.40	1.70	1.87	1.21	1.13
20:00	51	მურსია-პერუჯლესი	2.10	2.60	3.80	1.16	1.35	1.54
20:00	52	ესიდო-სპორტინგი	2.10	2.80	3.30	1.20	1.28	1.51
20:00	53	უელვა-კასტელონი	1.40	3.50	8.00	1.00	1.19	2.43
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		28 მაისი						
20:00	77	ლილეტრომსანდეფორდ	1.35	4.50	7.00	1.03	1.13	2.73
20:00	78	რუსენბორგი-პამარი	1.35	4.30	7.00	1.02	1.13	2.66
20:00	79	სტარტი-სტაბეკი	2.20	3.10	2.90	1.28	1.25	1.49
20:00	80	ვოლერენგა-მოლდე	1.85	3.20	3.70	1.17	1.23	1.71
20:00	81	ვიკინგი-ოდ გრენლანდი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
22:00	82	ბრანი-ლინი	1.75	3.40	4.10	1.15	1.22	1.85

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		29 მაისი						
21:00	83	ფრედრიქსტადი-ტრომსიო	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
		ამხანაგური მატჩები						
		26 მაისი						
22:45	153	თურქეთი-განა	1.85	3.30	3.90	1.18	1.25	1.78
20:00	154	ჩეხეთი-სარაბეთი	1.40	4.00	6.80	1.03	1.16	2.51
23:45	155	ირლანდია-რუმინეთი	5.00	3.70	1.55	2.12	1.18	1.09
23:45	156	აშშ-ვენესუელა	1.40	4.00	7.00	1.03	1.16	2.54
14:00	170	სამხრეთ კორეა-ბოსნია	1.50	3.60	6.00	1.05	1.20	2.25
		27 მაისი						
19:00	157	გერმანია-ლუქსემბურგი	1.01	10.00	30.00	1.00	1.00	7.50
22:00	158	დანია-პარაგვაი	1.85	3.20	4.00	1.17	1.26	1.77
22:00	159	სერბეთი-ურუგვაი	1.75	3.20	4.50	1.13	1.25	1.87
22:00	160	შვეიცარია-კოტ დიუარი	2.15	3.20	3.10	1.28	1.26	1.57
22:45	161	ჰოლანდია-კამერუნი	1.55	3.60	5.50	1.08	1.20	2.17
22:45	162	უელსი-ტრინიდადი	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
23:00	163	საფრანგეთი-მექსიკა	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
23:45	165	ესპანეთი-რუსეთი	1.55	3.60	5.50	1.08	1.20	2.17
		28 მაისი						
18:00	168	ეკვადორი-მაკედონია(ნ)	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
18:00	169	უკრაინა-კოსტა რიკა	1.50	3.70	5.50	1.06	1.17	2.21
		ეზ. 2006 (21) პორტუგალია						
		26 მაისი						
20:15	178	დანია(21)-პოლანდია(21)	3.10	3.10	2.20	1.54	1.28	1.28
22:45	179	იტალია(21)-უკრაინა(21)	1.70	3.40	4.20	1.13	1.21	1.87
		კალათბურთი. ესპანეთი						
		26 მაისი						
22:15	215	ბარსელონა-რეალი	1.25	12.00	3.50	1.13	1.00	2.70
		ჩოგბურთი.კაცები. როლანდ გაროსი						
		26 მაისი						
13:00	353	დ ნორმანი-კარპენტერი	1.45					2.20
13:00	354	რობერტი-არტურსი	1.35					2.50
13:00	355	ხაიეკი-კარანუშინი	1.50					2.10

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10 — კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46 — მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 — ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50 — მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11
	ჭავჭავაძის გამზირი № 41
	გამსახურდიას გამზირი № 3
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13 — დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი
	მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა
	მელიქიშვილის ქუჩა №15
	ისანი -კახეთის გზატკეცილი — ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141
ქუთაისი	ცისფერყანწელთა ქუჩა №4
გორი	სტალინის ქუჩა №14
თელავი	ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 21
ოზურგეთი	იოანე პეტრიწის ქუჩა №3
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30
სამტრედია	თამარ მეფის №1
წნორი	სტალინის ქუჩა №1
რუსთავი	შარტავას ქუჩა №17-29

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10153	თურქეთი-განა	2.15	2.00	4.50	1.03	1.45	1.38
10154	ჩეხეთი-ს.არაბეთი	1.55	2.40	6.00	1.00	1.23	1.71
10155	ირლანდია-რუმინეთი	6.00	2.30	1.90	1.66	1.44	1.04
10156	აშშ-ვენესუელა	1.70	2.30	5.80	1.00	1.31	1.64
10158	დანია-პარაგვაი	2.25	2.00	4.40	1.05	1.48	1.37
10159	სერბეთი-ურუგვაი	2.15	2.00	4.15	1.03	1.41	1.34
10160	შვეიცარია-კოტ დიუარი	2.50	2.00	3.75	1.11	1.50	1.30
10161	ჰოლანდია-კამერუნი	1.85	2.20	5.00	1.00	1.35	1.52
10162	უელსი-ტრინიდადი	2.70	2.00	3.30	1.14	1.48	1.24
10163	საფრანგეთი-მექსიკა	1.90	2.10	5.30	1.00	1.39	1.50
10165	ესპანეთი-რუსეთი	1.85	2.20	5.30	1.00	1.37	1.55
10168	ეკვადორი-მაკედონია(ნ)	2.00	2.10	5.00	1.02	1.42	1.47
10169	უკრაინა-კოსტა რიკა	1.85	2.20	5.30	1.00	1.37	1.55
10170	სამხრეთ კორია-ბოსნია	1.85	2.20	5.00	1.00	1.35	1.52

1-ლი ტაიმი/ძირითადი

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11153	თურქეთი-განა	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.30	[illegible]	[illegible]	[illegible]
11154	ჩეხეთი-ს.არაბეთი	1.70	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	9.00	9.00
11155	ირლანდია-რუმინეთი	7.50	10.00	20.00	8.00	4.40	3.50	20.00	10.00	2.00
11156	აშშ-ვენესუელა	1.80	12.00	25.00	3.40	4.50	10.00	20.00	10.00	10.00
11158	დანია-პარაგვაი	2.60	10.00	20.00	3.50	4.40	7.30	20.00	10.00	6.00
11159	სერბეთი-ურუგვაი	2.50	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	6.50
11160	შვეიცარია-კოტ დიუარი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11161	ჰოლანდია-კამერუნი	1.90	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	9.00	8.00
11162	უელსი-ტრინიდადი	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.50	20.00	10.00	4.70
11163	საფრანგეთი-მექსიკა	2.40	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11165	ესპანეთი-რუსეთი	1.90	10.00	20.00	3.50	4.60	8.00	20.00	10.00	7.50
11168	ეკვადორი-მაკედონია(ნ)	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11169	უკრაინა-კოსტა რიკა	1.85	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11170	სამხრეთ კორია-ბოსნია	1.90	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12153	თურქეთი-განა	1.70	------	1.90
12154	ჩეხეთი-ს.არაბეთი	1.90	------	1.70
12155	ირლანდია-რუმინეთი	1.70	------	1.90
12156	აშშ-ვენესუელა	1.70	------	1.90
12158	დანია-პარაგვაი	1.70	------	1.90
12159	სერბეთი-ურუგვაი	1.70	------	1.90
12160	შვეიცარია-კოტ დიუარი	1.70	------	1.90
12161	ჰოლანდია-კამერუნი	1.70	------	1.90
12162	უელსი-ტრინიდადი	1.70	------	1.90
12163	საფრანგეთი-მექსიკა	1.70	------	1.90
12165	ესპანეთი-რუსეთი	1.70	------	1.90
12168	ეკვადორი-მაკედონია(ნ)	1.70	------	1.90
12169	უკრაინა-კოსტა რიკა	1.70	------	1.90
12170	სამხრეთ კორია-ბოსნია	1.70	------	1.90

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13153	თურქეთი-განა	1.80	------	1.80
13154	ჩეხეთი-ს.არაბეთი	1.90	------	1.70
13155	ირლანდია-რუმინეთი	1.70	------	1.90
13156	აშშ-ვენესუელა	1.80	------	1.80
13158	დანია-პარაგვაი	1.80	------	1.80
13159	სერბეთი-ურუგვაი	1.90	------	1.70
13160	შვეიცარია-კოტ დიუარი	1.80	------	1.80
13161	ჰოლანდია-კამერუნი	1.80	------	1.80
13162	უელსი-ტრინიდადი	1.80	------	1.80
13163	საფრანგეთი-მექსიკა	1.80	------	1.80
13165	ესპანეთი-რუსეთი	1.80	------	1.80
13168	ეკვადორი-მაკედონია(ნ)	1.80	------	1.80
13169	უკრაინა-კოსტა რიკა	1.90	------	1.70
13170	სამხრეთ კორია-ბოსნია	1.80	------	1.80

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შესრული დაგებულად ჩაითვლება)

14153	თურქეთი-განა	1.55	------	2.30
14154	ჩეხეთი-ს.არაბეთი	1.15	------	2.60
14155	ირლანდია-რუმინეთი	2.50	------	1.30
14156	აშშ-ვენესუელა	1.15	------	2.60
14158	დანია-პარაგვაი	1.60	------	2.10
14159	სერბეთი-ურუგვაი	1.40	------	2.40
14160	შვეიცარია-კოტ, დიუარი	1.70	------	2.10
14161	ჰოლანდია-კამერუნი	1.25	------	2.40
14162	უელსი-ტრინიდადი	1.80	------	2.00
14163	საფრანგეთი-მექსიკა	1.40	------	2.40
14165	ესპანეთი-რუსეთი	1.30	------	2.50
14168	ეკვადორი-მაკედონია(ნ)	1.40	------	2.40
14169	უკრაინა-კოსტა რიკა	1.30	------	2.50
14170	სამხრეთ კორია-ბოსნია	1.30	------	2.50

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15153	თურქეთი-განა	3.00	2.80	2.00
15154	ჩეხეთი-ს.არაბეთი	3.00	2.80	2.00
15155	ირლანდია-რუმინეთი	3.00	2.80	2.00
15156	აშშ-ვენესუელა	3.00	2.80	2.00
15158	დანია-პარაგვაი	3.00	2.80	2.00
15159	სერბეთი-ურუგვაი	3.00	2.80	2.00
15160	შვეიცარია-კოტ დიუარი	3.00	2.80	2.00
15161	ჰოლანდია-კამერუნი	3.00	2.80	2.00
15162	უელსი-ტრინიდადი	3.00	2.80	2.00
15163	საფრანგეთი-მექსიკა	3.00	2.80	2.00
15165	ესპანეთი-რუსეთი	3.00	2.80	2.00
15168	ეკვადორი-მაკედონია(ნ)	3.00	2.80	2.00
15169	უკრაინა-კოსტა რიკა	3.00	2.80	2.00
15170	სამხრეთ კორია-ბოსნია	3.00	2.80	2.00

ფრეს ბარეშე (ძირ დრო)

16153	თურქეთი-განა	1.32	------	2.60
16154	ჩეხეთი-ს.არაბეთი	1.12	------	4.20
16155	ირლანდია-რუმინეთი	3.10	------	1.22
16156	აშშ-ვენესუელა	1.12	------	4.20
16158	დანია-პარაგვაი	1.32	------	2.60
16159	სერბეთი-ურუგვაი	1.30	------	2.80
16160	შვეიცარია-კოტ დიუარი	1.45	------	2.30
16161	ჰოლანდია-კამერუნი	1.22	------	3.30
16162	უელსი-ტრინიდადი	1.60	------	2.10
16163	საფრანგეთი-მექსიკა	1.25	------	3.10
16165	ესპანეთი-რუსეთი	1.20	------	3.40
16168	ეკვადორი-მაკედონია(ნ)	1.25	------	3.10
16169	უკრაინა-კოსტა რიკა	1.15	------	3.70
16170	სამხრეთ კორია-ბოსნია	1.15	------	3.70

გოლი:ფსევდოლი-10უ კენტი-2. (0:0 ითვლება ფსევდოლად)

17153	თურქეთი-განა	1.85	------	1.95
17154	ჩეხეთი-ს.არაბეთი	1.85	------	1.95
17155	ირლანდია-რუმინეთი	1.85	------	1.95
17156	აშშ-ვენესუელა	1.85	------	1.95
17158	დანია-პარაგვაი	1.85	------	1.95
17159	სერბეთი-ურუგვაი	1.85	------	1.95
17160	შვეიცარია-კოტ დიუარი	1.85	------	1.95
17161	ჰოლანდია-კამერუნი	1.85	------	1.95
17162	უელსი-ტრინიდადი	1.85	------	1.95
17163	საფრანგეთი-მექსიკა	1.85	------	1.95
17165	ესპანეთი-რუსეთი	1.85	------	1.95
17168	ეკვადორი-მაკედონია(ნ)	1.85	------	1.95
17169	უკრაინა-კოსტა რიკა	1.85	------	1.95
17170	სამხრეთ კორია-ბოსნია	1.85	------	1.95

ფორმულა I- 28 მაისი

13:00	1001	გამარჯვებული	რ.შუმახერი	32.00
13:00	1001	გამარჯვებული	ბარიკელო	26.00
13:00	1001	გამარჯვებული	მონტოია	21.00
13:00	1001	გამარჯვებული	ბატონი	20.00
13:00	1001	გამარჯვებული	მასა	15.00
13:00	1001	გამარჯვებული	რაიკონენი	9.00
13:00	1001	გამარჯვებული	ფიზიკელა	9.00
13:00	1001	გამარჯვებული	მ.შუმახერი	2.50
13:00	1001	გამარჯვებული	ვილნევი	45.00
13:00	1001	გამარჯვებული	უებერი	39.00
13:00	1001	გამარჯვებული	სატო	150.00
13:00	1001	გამარჯვებული	ალბერსი	150.00
13:00	1001	გამარჯვებული	ხაიდფელდი	45.00
13:00	1001	გამარჯვებული	როსბერგი	65.00
13:00	1001	გამარჯვებული	კულტხარდი	70.00
13:00	1001	გამარჯვებული	კლიენი	75.00
13:00	1001	გამარჯვებული	ლიუცი	80.00
13:00	1001	გამარჯვებული	სპიდი	150.00
13:00	1001	გამარჯვებული	ტრული	32.00
13:00	1001	გამარჯვებული	მონტანი	150.00
13:00	1001	გამარჯვებული	მონტეირო	150.00
13:00	1001	გამარჯვებული	ალონსო	2.40

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

გავსინჯავთ თქვენს ფრენბურთს, დავლევთ თქვენს ღვინოს

ბაღრი კეთილაძის ფოტოები

ათეული წლები შეიძლება ისე გავიდეს, ევროპული ფრენბურთის გრანდები თბილისში არც ჩამოვიდნენ. დღეს, ხვალ და ზეგ კი სპორტის სასახლის ვარსკვლავთამრიცხველი კიდევ ერთხელ დატრიალდება: საფრანგეთი, გერმანია და ლატვია. აი, ის ევროგრანდები, სამი დღის მანძილზე ერთმანეთსა და საქართველოს ნაკრებთან რომ ითამაშებენ. დღეს თბილისში 2007 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველი წრე იწყება.

გუშინ ბოლო მოთელვის დღე იყო სამდღიანი ჯახების წინ. სპორტის სასახლეში მორიგეობით ოთხივე ნაკრებმა ივარჯიშა. თავიდან გერმანელებმა მოსინჯეს სასახლის იატაკი, მერე ქართველებმა, ფრანგებმა, ბოლოს — ლატვიელებმა.

გერმანელებმა თბილისში მსოფლიო ვარსკვლავი და მათი მთავარი იარაღი ანგელინა გრიუნი ჩამოიყვანეს. 33 წლის იტალიელი ჯოვანი გუედეტის კი დღეს გერმანელთა მთავარმწვრთნელობის ამბავში დებიუტი ექნება. ერთი თვის წინ გერმანელებმა ჩინელი იან ჰულის სწორედ ახალგაზრდა იტალიელი ამჯობინეს.

მწვრთნელი უმახე და მისი მოსვენება არ იყო. ორსაათნახევრიანი ვარჯიშისას ერთხელ არ ჩამომჯდარა და იმდენი იმოძრავა, მგონი ერთად აღებულ ყველა გერმანელ გოგოს არ უვარჯიშია. ემოციებსაც სამხრეთულად გამოხატავდა, ხან ბადის ძელს აყანყალებდა, ხან თავში წაიშენდა ხელს და ხანაც ისეთ ჟესტიკულაციებს აკეთებდა, თავად გერმანელებსაც ეიმებოდათ. „ალელუია, ალელუია, ალელუია სელვატორე“ — ეს ხმამაღლა მაშინ თქვა, როდესაც გერმანელმა გოგოებმა, როგორც იქნა ზედმიწევნით შეასრულეს მისი მითითება. მანამდე კი გუედეტიმ ერთი მოთამაშე გამოარჩია და სანამ ზუსტად არ დაარტყმევინა იმ წერტილში, რომელშიც უნდოდა და ბლოკის დაყენება არ მოუწონა, არ მოეშვა.

კიდევ ერთი, რაც თვალში გვეცა, ეს გერმანელთა ორგანიზებულობა იყო. ერთნაირ კოხტა სავარჯიშო ფორმაში გამოწკეპილ მთელ დელეგაციას ერთი ფერის, წითელი ბოტასები ეცვა. მათმა ექიმმა კი თეთრი ფერის ბუცები მას შემდეგ ჩაიცვა, რაც ნაკრებმა ვარჯიში დაასრულა.

გერმანელები ისე გაეცალნენ იქაურობას, რომ კომენტარი არ გაუკეთებიათ, მაგრამ სასტუმროში ჯოვანი გუედეტის და ანგელინა გრიუნს მაინც გავესაუბრეთ. სხვათა შორის, გუედეტისთან თარჯიმნობა გრიუნმა გაგვიწია, რომელიც მშვენივრად ლაპარაკობს რუსულად და აი, რატომ:

— მე ბაშკირელი რუსი ვარ. ჩემს წინაპრებს ჰქონდათ გერმანული ფესვები, მეულლეც გერმანელი მყავს და მოქალაქეობაც იმიტომ მივიღე — გვითხრა გრიუნმა, ჩვენთან საუბრისას ერთი ბოთლი ბორჯომი რომ გამოცალა და ცერა თითით გვანიშნა, მაგარიაო.

— აქედან ისე წახვალთ, ქართულ ღვინოსაც არ გასინჯავთ?

— ვნახოთ, ეს იმაზეა დამოკიდებული, როგორ დასრულდება ჩვენი ჯგუფის პირველი წრე. მთავარია, თბილისში მივაღწიოთ წარმატებას, ჯგუფში პირველი ადგილი, პრაქტიკულად, აქ უნდა გავინაღდოთ.

— მთავარ ფავორიტებად გერმანიასა და საფრანგეთს მიიჩნევთ?

— როგორც მე ვიცი, საქართველოს ძალიან ახალგაზრდული და გამოუცდელი გუნდი ჰყავს. ჩვენს ჯგუფში მოხვედრით ნამდვილად არ გაუმართლა... ვფიქრობ, რომ პირველ-მეორე ადგილებისთვის ჩვენ და საფრანგეთი ვიბრძოლებთ, თანაც ფრანგები მეორე წრის მასპინძლები არიან, მაგრამ ჩვენ მაინც გვაქვს უპირატესობა, ფრანგებს სამი-ოთხი ძლიერი მოთამაშე აკლიათ. რაც მთავარია, არ ეყოლებათ ვიქტორია რავა.

— იცით, რომ რავა თბილისში დაბადებულ-გაზრდილია?

— არა, მართლა? ვიკას კარგად ვიცნობ. ჩემი აზრით, ის უკვე ქალთა ფრენბურთის ლეგენდაა. ვიცოდი, რომ ქმარი ჰყავდა ქართველი, მაგრამ თბილისელი თუ იყო, პირველად გავიგე.

გერმანელთა მთავარმა მწვრთნელმა ჯოვანი გუიდეტიმ კი ეს გვითხრა: „დარწმუნებული ვარ, ჯგუფში პირველ ადგილს კი არა, საერთოდ, ევროპის ჩემპიონატსაც მოვიგებთ. თბილისშივე უნდა გადავწყიტოთ ჯგუფი პირველადგილოსნის ბედი და ანგელინასთან ერთად მეც სიამოვნებით დავლევ ქართულ ღვინოს“.

რაც შეეხება ფრანგებს, თითქოს მოილაპარაკესო, ყველა ერთსა და იგივეს იმეორებს. მათი თქმით, ვიქტორია რავას და მეორე კანელის მარინა სალინასის არყოფნა გუნდისთვის ყველაზე დიდი დანაკლისია. თურმე როგორც კი გადაწყდა, რომ რავა არ ითამაშებდა, სალინასს საერთოდ დაუსრულებია სანაკრებო კარიერა. ფრანგებისვე თქმით, თბილისში მაქსიმალური ქულები უნდა დააგროვონ, რომ ერთი კვირის შემდეგ შინაურ კედლებში გამოჯანმრთელებული ლიდერებით დახვდნენ მეტოქეებს.

საფრანგეთის ნაკრების დროებითი დასუსტებით შეიძლება, ლატვიამ ისარგებლოს, რომელსაც რავას თანაგუნდელი და ევროპაში გამორჩეული მექულე ოლგა ტოკო ლიდერობს. ოლგა ტოკომ გუშინ ჩვენთვის ეს კომენტარი გააკეთა: ფრანგები ტრავმების გამო პრაქტიკულად მეორე გუნდით არიან ჩამოსულები და ეს მომენტი უნდა გამოვიყენოთ. დიდი იმედი მაქვს, რომ თუ პირველ ადგილს ვერა, საპლეიოფო მეორე ადგილს მაინც მოვიპოვებთ“.

რაც შეეხება ჩვენს გოგოებს, მთავარია, ამ ბობოლების დაკა-დაკაში არ ჩაიკარგონ, თორემ ჯგუფიდან გასვლას რომ ვერ მოვთხოვთ, ფაქტია. ჩვენი გოგოები სამივე მატჩს ამ შემადგენლობით ითამაშებენ: *მარიკა გერლიანი, ნათია არველაძე, ნელი აირაპეტიანი, ირინე შენგელია, თამთა დავითულიანი (ყველა ჯიკო), იანა სუმბათიანი, ნინო ქობალია, ნინო მეტრეველი, თამარ ვაშაკიძე, თამარ კოროშინაძე, ირინა კახაძე და მაკა ძიძიბაძე (ყველა თბილისი).*

ბაჩო სვანიძე

დღეს

16:00

საქართველო — საფრანგეთი

19:30

ლატვია — გერმანია

ბაღრი კეთილაძის ფოტო

ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ნელი აირაპეტიანი

რენატო-გეორმა ჩინეთში ქართულად გაიხარა

გეორგიანული არითმეტიკა: ოცეული უდრის 180 ქულას

ქართველი ბრაზილიელების გეორ და გიას შანხაის მსოფლიო ტურზე პლაუბურთობა გუშინ შუადღისას დასრულდა, არადა, დილით გეორ იგივე რენატომ და გიამ იგივე ჟორჟემ ნორვეგიელები — ჰომერი და პეტერსონი იოლად მოინელეს — 2:0. ამ მოგებით ქართულპასპორტიანმა ბრაზილიელებმა ოცეულში გაინაღდეს ადგილი, რაც დებიუტისთვის თავისთავად კარგი შედეგია. აი, შუადღისთვის კი გეორ და გია ეტყობა, დაიღალნენ და ათეულში შესასვლელი მატჩი ათას ქვიშაზე გადამხტარ, მრავალნაცად ესტონელებთან, კაისთან და ვესიკთან წააგეს — 2:0.

საბოლოოდ ჩვენებმა მეჩვიდმეტე-მეოცე ადგილები გაიყვეს ორ ავსტრიულ, იტალიურ და ბრაზილიურ წყვილებთან. საქართველოს სახელით პირველივე მსოფლიო ტურზე ქართველმა ბრაზილიელებმა 180 სარეიტინგო ქულა მოინაგრეს. იმის გათვალისწინებით, რომ პეკინის ოლიმპიადაზე ათასქულიანები მიდიან და გაისის ჩათვლით კიდევ 30-მდე ტურია, ჩვენებისთვის პეკინი არც ისე შორია.

ბაჩო სვანიძე

სუპერმოთამაშის სუპერთასი

ოთარ ქორქიას თასით გაიხსენებენ

დღეს ამ სეზონის ბოლო აკორდია — ვერის ბაღში ერთხელაც შეიკრიბება ქართული საკალათბურთო ბომონდი და სეზონის დასკვნით მატჩს იხილავს ორი ყველა ზე ღირებული ტიტულის მომხვეჭი გუნდის მონაწილეობით.

ახალდაარსებულ სუპერთასს ჩემპიონი „ავიამშენი“ და თასის მფლობელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდები გათამაშებენ. ეს თასი, რომელიც წარსულის დიდი კალათბურთელის, ოთარ ქორქიას სახელობის იქნება, წლეულს პირველად გათამაშდება და ტრადიციული გახდება. გუშინ კაფე „მსოფლიოს სპორტში“ სუპერთასის მოცილე გუნდების მწვრთნელ-მოთამაშეებმა პრესკონფერენცია გამართეს

გუშინ დელეგაციები

ლევან მოსეშვილი, „ავიამშენის“ მთავარი მწვრთნელი:

— იდეა ძალიან კარგია და მისასალმებელი, მით უმეტეს, სუპერთასი დიდი ოთარ ქორქიას სახელობის იქნება. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ რადგან ეს თასი წლეულს პირველად თამაშდება, ცოტა მეორე პლანზეა გადატანილი და მის მიმართ ინტერესი შედარებით განელებულია. ფედერაციამ გარკვეული ფინანსური დაინტერესება უნდა მოახდინოს იმ გუნდებისა, რომლებიც სუპერთასისთვის იბრძვიან და ეს მატჩი გაცილებით მეტ ეშხს შეიძენს.

დავით უსტიაშვილი, „თსუ-ნიკორას“ მთავარი მწვრთნელი:

— ძალიან კარგი წამოწყებაა, სუპერთასის გათამაშებას მივესალმებით. ეს ჩემი გუნდისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რადგან ჩემპიონობა გვინდოდა, ფინალში ვერ გავედით და ახლა კარგი შანსი გვეძლევა, საკუთარი ძალა რომ დავამტკიცოთ.

როგორც ხედავთ, თსუ მეტი სერიოზულობით ეკიდება კარსმომდგარ მატჩს და იმის დამტკიცებას აპირებს, რომ ეროვნული ჩემპიონატში ფინალში თამაშს მაინც იმსახურებდა. „ავიამშენის“ ზოგიერთმა მოთამაშემ საჩემპიონო ეიფორიიდან გამოსვლა ჯერაც ვერ მოახერხა — ყოველ შემთხვევაში, ლევან მოსეშვილმა სუპერფინალის შემდეგ სრული შემადგენლობის თავმოყრა ვერ შეძლო

— პლასიდე როდუმტა და თორნიკე ნინიაშვილი ფინალის შემდეგ ვარჯიშზე აღარ ყოფილან. კამერუნელი ლეგიონერი მოწამლულია. ეტყობა, ქართულმა ღვინომ აწყინა — განაგრძო *ლევან მოსეშვილმა* — ისე გამოდის, რომ როდუმტა და ნინიაშვილი პირდაპირ, უვარჯიშებლად ითამაშებენ სუპერფინალს. სხვა მხრივ, ყველა მწყობრშია და საინტერესო ბრძოლასაც ველით. მცირე ტრავმები აწუხებთ ირაკლი ხოშტარიასა და კოტე ტუღუშს, მაგრამ ამ ერთ მატჩს ისინი როგორმე ითამაშებენ და მერეღა დაისვენებენ.

დავით უსტიაშვილი:

— საკმაოდ გადაღლილები ვართ. თუ „ავიამშენმა“ ფინალური სერია ითამაშა, ჩვენ სტუ-სთან არანაკლებ დაძაბული ბრძოლა გვქონდა მესამე ადგილისთვის. ჩემპიონატის ნახევარფინალმა და ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლამ დიდი ძალები წაგვართვა, მაგრამ ერთ თამაშსაც გავიჭირებთ და სუპერთასის მოგებას შესძლო.

სხვათა შორის, სწორედ „ავიამშენი“ და თსუ შეხვდნენ თასის ფინალში და უკვე თითქმის ზეაღმართული ტიტული ავიატორებს სტუდენტებმა ხელიდან გამოაცალეს. მოსეშვილის გუნდი ერთი ხანობა 17 ქულითაც ლიდერობდა, მაგრამ თსუ-მ შესაშური შეუპოვრობა გამოავლინა და მატჩი ჯერ ოვერტაიმში გადაიყვანა, მერე კი იმარჯვა კიდეც.

პრესკონფერენციის დასასრულს მოთამაშეებმაც გამოთქვეს თავიანთი აზრი:

— ამ სეზონში უმთავრესი ჩვენთვის ჩემპიონობა იყო და ეს მიზანი უკვე მიღწეულია. სუპერთასი კარგია, მაგრამ მის მოსაგებად ჩვენ განსაკუთრებით არ მოვმზადებულვართ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ იოლად დავთმობთ რამეს, „თსუ-ნიკორას“ დამარცხებას მთელი ძალებით ვეცდებით — თქვა „ავიამშენის“ კაპიტანმა *ირაკლი ხოშტარიამ.*

ბოლო სიტყვა კი თსუ-ს გამთამაშებლის, *ირაკლი ბერიშვილის* იყო:

— ჩემპიონობა გვინდოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გამოგვივიდა და ახლა თასთან ერთად სუპერთასის მოგება გვინდა. მესამე ადგილისთვის მატჩში ცოტა მოვდუნდით და ბრინჯაოს ბედი ბოლო მატჩამდე მივიყვანეთ, მაგრამ ძალების მოკრეფა მოვახერხეთ და ხვალაც ბოლომდე ვიბრძოლებთ.

სუპერთასთან ერთად დღეს ქალთა თასიც გათამაშდება. 14 საათზე სასუპერთასო მატჩის დაწყებამდე ქუთაისისა და თსუ-ს ქალთა გუნდები შეერკინებიან ერთმანეთს.

ერთსაც და მეორესაც უკვე მოუპოვებია ქვეყნის თასი. შარშან თსუ-მ იზეიმა, იმის წინ კი იმერლებმა გაიხარეს. არადა, ქალთა თასი სულ მესამედ ტარდება.

ამ სათასო მატჩის შესახებ განცხადება კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა გააკეთა და იქვე წარმოადგინა ფიბა-ევროპის ქალთა კალათბურთის განვითარების პროგრამა, რომელიც ევროპის ქვეყნებში წლეულს მთელი ძალით ამოქმედდება. საქმე ის გახლავთ, რომ ფიბა-ევროპამ. ეს წელი ქალთა კალათბურთის წლად გამოაცხადა და შესაბამისად საქართველოშიც ხელი შეუწყობა მანდილოსან სპორტსმენებს.

ირაკლი პერტაია



AFP დალასიდან

სტივ ნეში დირკ ნოვიცკის და მის „დალასს“ ხელიდან გაუფრინდათ

ბუმერანგი

დალასს თავისი გასროლილი მიუბრუნდა

24 მაისი

დასავლეთის ფინალი

დალასი 0:1 ფინიქსი

დალასი 118:121 ფინიქსი

დალასი: ტერი (15), ჰარისი (30), ჰოვარდი (6), ნოვიცკი (25 ქულა, 19 მოხსნა), დამპიე (6); სტეკჰაუსი (16), დანიელსი (9), ვან ჰორნი (7), გრიფინი (4), არმსტრონგი

ფინიქსი: ნეში (27 ქულა, 16 პასი), ბელი (8), ტომასი (17), მერიონი (24 ქულა, 13 მოხსნა), დიაუ (34), ჰაუსი (6), ბარბოსა (3), ჯონსი (2)

ცხრილშვილი სათადარიგო იყო

„დალას მავერიკსის“ დაცვამ მოაშთო მემფისელი პაუ გასოლი, გადაიტანა სანანტონიოელი ტიმ დანკანის დაბომბვა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა ყოფილ თავისიან სტივ ნეშს, რომელიც იმ ორ გოლიათს ბარე 20 სანტიმეტრით ჩამოუვარდება. „დალასზე“ გადამკვდარი და ამ გუნდის ამყვავებელი, მისი მფლობელი მარკ კუბანი ალბათ ცხოვრების ბოლომდე არ აპატიებს საკუთარ თავს, ორი წლის წინ ნეშს „ფინიქსში“ გადასვლის ნება რომ დართო. კანადელი გამთამაშებელი სწორედ ეს ორი წელია, სეზონის უძვირფასესი მოთამაშის ტიტულს არავის უთმობს და პლეი ოფშიც არიზონელები ზედიზედ მეორედ გაიყვანა დასავლეთის ფინალში.

შარშან „ფინიქსმა“ მეორე წრეში სწორედ „დალასს“ მოუგო. მაშინ პირველ სამ თამაშში ფინიქსელთა ცენტრი ამარე სტუდემაიერი 30-40 ქულას იხვეჭდა, შემდეგ სამში კი უკვე ნეში მოევლინა რისხვად ყოფილ თანაგუნდელებს — ამ ბოლო სამ შეხვედრაში მისი შედეგიანობა 34-48 ქულას შორის მერყეობდა.

„ფინიქსს“ წლეულს არ ჰყავს სტუდემაიერი, მაგრამ საკითხავი ისაა, ამ ნეშს რაღა უნდა მოუხერხონ დალასელებმა?! კანადელმა პრაქტიკულად მოგებული თამაში გამოსტაცა ტეხასელებს, რომელთაც პირველი წუთებიდანვე წაუხდათ ხასიათი — მათმა მსუბუქმა ფორვარდმა ჯოშ ჰოვარდმა მატჩის პირველ 5 წუთში 6 ქულა გააკეთა, მერე კი კოჭი ილრძო და მთელი თამაშით დააკლდა თავისიანებს. ჰოვარდის არყოფნაში გაილაღა მისმა ოპონენტმა ბორის დიაუმ, ვინაც 34 პირადსარეკორდო ქულა მოიხვეჭა და თან ბოლო წამზე გადამწყვეტი ბურთიც ჩაუგდო „დალასს“.

არადა, მასპინძლები ბოლო მეოთხედის დამთავრებამდე სამნახევარი წუთით ადრე 9 ქულას იგებდნენ და თავი ქუდში რომ ეგონათ, სწორედ მაშინ გადაირია ნეში. კანადელი მანამდე თანაგუნდელებს უყრო ამარაგებდა პასებით და საბოლოოდ 16 პასი მოუგროვდა, რაც წლევანდელი პლეი ოფის საყოველთაო რეკორდია. მაგრამ ბოლო წუთებში ნეშმა თავად გამართა მსახვრალი მარჯვენა და ზედიზედ 10 ქულა მიუთვალა „ფინიქსს“ — ორი სამიანი, ორიანი და ორიც საჯარიმო. „დალასს“ უპირატესობა ხელში შემოადნა, მაგრამ დევინ ჰარისმა (30 ქულა, კარიერის რეკორდი) საფინალო სირენამდე 4,8 წამით ადრე ორიანით 118:117 რომ დააწინაურა თავისიანები, დარბაზში „დალასის“ სურნელი დატრიალდა, მაგრამ...

ბორის დიაუმ 0,5 წამით ადრე ჩააგდო ორიანი და ჩარხი „ფინიქსისკენ“ შეატრიალა. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ სტუმარმა ტიმ ტომასმა მასპინძელ მარკუს დანიელსს გვერდითი ხაზიდან შემოტანილი ბურთი ჩაუჭრა და წყვილი საჯარიმოებიც ჩააჭედა „მავერიკსის“ კალათში.

კოტე ყორშია

მოგება უფასოდ

ვამბობთ ჰოლანდიას და ვფიქრობთ რუსეთზე

დღეს საღამოს ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ცამეტკაცა რაგბიში საქართველოს ნაკრები ჰოლანდიისას დაუხვდება. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ცამეტმა ქართველმა ორი კვირის წინ სერბეთის ძლევით დაიწყო და დღესაც თუ მოიგო, ევროსაგზურს ვადაზე ადრე გაინაღდებს.

თქმაც არ უნდა, ასეც იქნება. საკითხავი მხოლოდ ისაა, რამხელა სხვაობით იმარჯვებენ მასპინძლები. პირველი ქართულ-ჰოლანდიური დაპირისპირება შარშან ჰოლანდიაში შედგა და ჩვენებურთა გამარჯვებით დასრულდა — 34:14.

შესარჩევი ჯგუფიდან ევროპირველობაზე ორი საუკეთესო გადის და შარშანდელის მსგავსად, ალბათ ახლაც საქართველო და რუსეთი გაიხარებენ, პირველი ადგილის ბედი კი 22 ივნისს, მოსკოვში გაირკვევა. ცამეტი ქართველი ერთი წლის წინანდელი მოსკოვური მარცხის გამო რევანშის აღებაზე აქედანვე ფიქრობს.

უკვე გარკვეულია ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ჯგუფებიც. შესარჩევის ლიდერი შოტლანდიასთან და უელსთან მოხვდება, ხოლო მეორეადგილოსანი ირლანდიასთან და ლიბანთან. დღევანდელი საქართველო — ჰოლანდია კი შვიდ საათზე იწყება. დასწრება უფასოა.

ოთარ მაღლაკელიძე

შოთა ხაბარელს ზაზა კედელაშვილის (მარჯვნივ) ძალიან ეიმედება

პირველი დღის საძი იმედი

ევროპა მსუბუქად იწყებს

ᲓᲦᲔᲡ ფინურ ტამპერეში ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი იწყება და კვირამდე გასტანს. წლეულს ამ ტურნირს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს, რადგან მსოფლიო პირველობა არ იმართება. საქართველოს ნაკრებმა კი ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე განცდილი ფიასკო უნდა გამოისყიდოს. შარშან შემოდგომაზე ქართულმა შვიდეულმა ეგვიპტეში მხოლოდ ერთი ბრინჯაოს მედალი აიღო. ჩვენთვის წარუმატებლად ჩაიარა 2004 და 2005 წლის ევროპის ჩემპიონატებმაც. ხაბარელის ბიჭებმა იქაც თითო ბრინჯაო მოიპოვეს. ორივე მედალი დავით ქევხიშვილის ანგარიშზეა. იგი ტამპერეშიც იჭიდავებს.

წინასაევროპოდ შოთა ხაბარელის გუნდმა ოთხთვიანი მოსამზადებელი ეტაპი გაიარა. იანვრიდან მოყოლებულ საერთაშორისო ტურნირებს თუ მსოფლიოს თასების სერიაში ყველა კანდიდატი გამოიცადა და საფინეთო ნაკრები საუკეთესოებით აპრილის შუა რიცხვებში დაკომპლექტდა.

ნესტორ ხერგიანი (60 კგ), ზაზა კედელაშვილი (66 კგ), დავით ქევხიშვილი (73) კგ), გრიგოლ მამრიკიშვილი (81 კგ), ირაკლი ცირეკიძე (90 კგ), გიორგი ყიზილაშვილი (100 კგ) და ლაშა გუჯეჯიანი (+100 კგ) — აი, შვიდეული, რომელმაც თავი კონკურენტებზე უკეთ წარმოაჩინა, თუმც მწვრთნელს ერთი გაუთვალისწინებელი ცვლილების გაკეთება მაინც მოუხდა.

რამდენიმე დღის წინ, ბოლო ბორკომული შეკრების მიწურულს, გუჯეჯიანმა ტრავმა მიიღო და განაცხადში მისი ადგილი ზვიად ხანჯალიაშვილმა დაიკავა. იძულებითი ცვლილების მიუხედავად, ვერავინ იტყვის, რომ მძიმე წონა საქართველოს ნაკრების სუსტი წერტილი იქნება. ხანჯალიაშვილმა ამ სეზონში რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა, მათ შორის, ევროპის მოქმედ და მსოფლიოს ჩემპიონ ალექსანდრ მიხაილინთან, მოსამზადებელი ეტაპიც სრულყოფილად გაიარა და ტამპერეში მედლისთვის ბრძოლა რეალურად შეუძლია.

დღეს ფინურ ტატამზე სამ წონაში გამოვლინდება ჩემპიონ-პრიზიორებიც. შოთა ხაბარელი სამივე შეგირდს ოქროს უმთავრეს პრეტენდენტებს შორის ასახელებს. ცირეკიძესთან ერთად გამორჩეულად სწორედ ხერგიანის, კედელაშვილისა და ქევხიშვილის წარმატების ეიმედება. ამათგან ყველაზე გამოუცდელი კედელაშვილია. ახალგაზრდებს შორის ლამის ყველა ტიტულის მომგები 21 წლის ძიუდოისტი უფროსებში პირველ სერიოზულ გამოცდას აბარებს. ხერგიანსა და ქევხიშვილს აქტივში ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური მედლებიც მოპოვებათ. ცირეკიძეს კი შარშანდელ ევროპირველობაზე ბრინჯაომდე ერთი გამარჯვებაღა დააკლდა.

81 და 90-კილოგრამიანები ხვალ, 100 და +100 კილოგრამიანები კი ზეგ იჭიდავებენ. გრიგოლ მამრიკიშვილმა (81 კგ) შარშან მეშვიდე ადგილი დაიკავა, წლეულს კი აშკარად უკეთეს ფორმაშია, რაც საგაზაფხულო ტურნირებზე არაერთგზის დაამტკიცა. გიორგი ყიზილაშვილი (100 კგ) ხაბარელის გუნდის კიდევ ერთი დებიუტანტია, თუმც საერთაშორისო გამოცდილება არც მას აკლია.

ტამპერეში კაცებთან ერთად ქალთა ნაკრებიც გაემგზავრა. ქართველი ქალები ამ დონის ტურნირზე აქამდე არასოდეს გამოსულან. გოდერძი ველიჯანაშვილმა სადებიუტოდ ოთხეული შეარჩია. დღეს ტატამზე აიმან კალიევა (52კგ) გავა, ხვალ — დუსკა ქერიმოვა (57კგ), ხოლო ზეგ — ნინო ოძელაშვილი (70კგ) და ირინა ლეონიძე (+78კგ).

საპრიზო და საჩემპიონო შეხვედრები საღამოს ხუთი საათიდან საზოგადოებრივი არხის პირდაპირი ეთერით გადმოიცემა.

ᲝᲗᲐᲠ ᲒᲐᲦᲚᲐᲙᲔᲚᲘᲫᲔ

ჩო ოიუ უკან დაბრუნდა

წინ ჩოგორია, მაგრამ უფულობა როგორია

გუშინ ჰიმალაის ექსპედიციიდან დაბრუნდა თბილისელი ბიძინა გუჯაბიძე, რომელმაც ჩეხეთის მთამსვლელთა ექსპედიციასთან ერთად რვაათასიანი ჩო ოიუ (8027) დალაშქრა. ეს მწვერვალი ბიძინასთვის მეხუთე რვაათიასიანი აღმოჩნდა. მანამდე იგი ავიდა დჰაულაგირზე, ლჰოც ზე ზე და ორჯერ ევერესტ ზე. საერთო ჯამში ეს ბიძინასთვის მეექვსე ჰიმალაური ლაშქრობა იყო. ამის გათვალისწინებით გამოდის, რომ იგი რვაათასიანებზე ყველა ასვლას პრაქტიკულად წარმატებით ამთავრებს. ოღონდ ეგაა, იქიდან დაბრუნებულ მთამსვლელებს ერთხანს გაუთავებელი ხველება ანუხებთ და ჩვენი გუშინდელი საუბარიც ბიძინას ხველებ-ხველებით ჩავამთავრეთ

— აქამდე რვაათასიანებზე ქართველებთან ერთად დადიოდით, ერთი-ორჯერ რუსების ექსპედიციაშიც იყავით, ახლა კი ჩეხების გუნდში აღმოჩნდით. საინტერესოა, მათთან როგორღა მოხვდით.

— შარშან ოქტომბერში ამ ექსპედიციის ოთხი წევრი ჩემთან სტუმრად იყო. მათ მყინვარწვერზე გავყევი და მწვერვალზეც ავედით, რითაც ჩეხები ძალზე ნასიამოვნები დარჩნენ. სწორედ მაშინ შემომთავაზეს, გაისად ჩო ოიუზე ვაპირებთ ასვლას და შენთან ერთად იქაც სიამოვნებით ავიდოდითო. საერთოდ, ჩეხები, ისე როგორც სლოვაკები, ჰიმალაის მწვერვალთა ხშირი სტუმრები არიან ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა ჩეხოსლოვაკია არსებობდა. მაშინ მწვერვალებზე, მათ შორის რვაათასიანებზე, არაერთი ახალი მარშრუტი გაკვალეს, ახლანდელ ექსპედიციაში კი ერთი სლოვაკიც იყო.

— ამ ექსპედიციის წევრები რამდენად ცნობილები იყვნენ?

— ვერ ვიტყვი, რომ ეს ექსპედიცია სახელგანთქმული მთამსვლელებით დაკომპლექტდა, თუმცა მისი თერთმეტი წევრიდან, თუ ჩემს თავს არ ჩავთვლი, მწვერვალი ექვსმა დალაშქრა, მათ შორის გუნდის ერთადერთმა ქალმა ალისა კორბოვამ. ექსპედიციაში ყველაზე გამოცდილი გახლდათ მილან ვლასავი, რომელსაც პამირისა და ტიან-შანის მთების მწვერვალები დაულაშქრავს, მათ შორის ხანთენგრი და მუზტაგატა. ამას გარდა, იგი ცნობილი პოლარული მოგზაურია. ყოფილა შპიცბერგენზე და გრენლანდიაც გადაუკვეთია.

— ჩემს გარდა მწვერვალი ამ ექსპედიციის ექვსმა წევრმა დალაშქრაო, ამბობთ, მაგრამ ამ ექსპედიციის საიტიდან შევიტყვეთ და მკითხველსაც თავის დროზე ვაცნობეთ, რომ მწვერვალზე 10 მაისს მხოლოდ თქვენ ახვედით.

— იმ დილით ბოლო, მასამე საიერიშო ბანაკში, რომელიც 7500 მეტრზე დავდგით, კარავში ერთ ჩეხთან ვიყავი. წინა დღით გერმანელთა ექსპედიციის წევრი 7900 მეტრის სიმაღლიდან მოწყდა, დაახლოებით 500 მეტრი იფრინა და ცხადია, დაიღუპა. მისი ცხედარი იმ მესამე ბანაკიდანაც ჩანდა. ამან, ეტყობა, ჩემს ჩეხ მეწყვილეზე ცუდად იმოქმედა და გზის გაგრძელებაზე უარი თქვა. ამიტომ დილის 6 საათზე მწვერვალისკენ მარტო წავედი. უფრო სწორედ, იმ სიმაღლეზე მთლად მარტოც არ ვიყავი, რადგან სხვა ქვეყნების ექსპედიციათა მთამსვლელებიც ცდილობდნენ ასვლას. ასე რომ, ორ ავსტრიელსა და ერთ შერპს წამოვეწიე და მწვერვალზე მათთან ერთად ავედი. იქ ერთი იტალიელი ჩვენამდე ავიდა და უკან მობრუნებულს შევხვდით. 13 მაისს მწვერვალი კიდევ სამმა ჩეხმა დალაშქრა, 17-ში კი კიდევ ერთი ამდენი ავიდა.

— ამ გაზაფხულზე თქვენს გარდა კიდევ რამდენი ექსპედიცია მოეწყო ჩო ოიუზე?

— თხუთმეტამდე. მათ შორის იყო კორეის, ინდოეთის, გერმანიის, ავსტრიის, საფრანგეთისა და სხვათა ექსპედიციები. ყველაზე დიდი ექსპედიცია კორეელებისა იყო, რომელიც 18 მთამსვლელს ითვლიდა. მათ შერპებიც ზურგს უმაგრებდნენ, მაგრამ ამ გუნდიდან მწვერვალზე მხოლოდ ერთი ავიდა, ჩვენი თხუთმეტკაციანი ექსპედიციიდან კი, საერთო ჯამში, მიზანს რვამ მივაღწიეთ. ამასთან, მწვერვალზე შერპების დაუხმარებლად და ჟანგბადის ბალონების გამოუყენებლად ავედით.

— თქვენი ექსპედიციისას ნეპალში დიდი პოლიტიკური არეულობები იყო. რამდენად იმოქმედა ამან ლაშქრობაზე?

— ამ არეულობამ ნეპალში მოგზაურობა ძალიან გაართულა. ამიტომ ჩინეთის საზღვრამდე ტრადიციულად მანქანებითა და ქვეითი ლაშქრობით კი არა, შვეულმფრენებით გადავედით. მწვერვალიდან ჩამოსულებს გვითხრეს, მეფე ტახტიდან ჩამოვაგდეთ და ახლა ნეპალი სამეფო ქვეყანა აღარაა.

— ახლა საით გიჭირავთ თვალი, რომელ რვაათასიანზე აპირებთ ასვლას?

— K-2-ზე, იგივე ჩოგორიზე, რომელიც დედამიწაზე სიმაღლით მეორე მწვერვალია. იქ რუსებთან ერთად ვაპირებ ლაშქრობას. ვიზა ჯიბეში მიდევს, ბილეთებიც დაჯავშნულია, მაგრამ, რაც მთავარია, ფული არ მაქვს.

— ახლა, ჩო ოიუზე ამ მხრივ ვინ დაგეხმარათ?

— თბილისის მერიის სპორტის სამსახური, კაზინო „აჭარა“ და თავად ჩეხები...

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲫᲕᲘᲚᲘ

ATP-ᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲒᲣᲜᲓᲣᲠᲘ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲓᲘᲣᲡᲔᲚᲓᲝᲠᲤᲘ. ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. ᲗᲘᲮᲜᲐᲠᲘ. ᲡᲐᲠᲘᲝᲜᲘ 1 764 706 $

ლოცვა და ყინული

ᲩᲘᲚᲔ 2 : 1 ᲐᲨᲨ

ნიკოლას მასუ — ენდი როდიკი 4:2 (უარი)

პოლ კაპდევილია — რობი ᲨᲜᲔᲠᲘ 6:4 6:4

ნიკოლას მასუ, ფერნანდო გონსალესი — მაიკ ბრაიანი, ბობ ბრაიანი 3:6 3:6

ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲐ 2 : 1 ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ

ივან ლიუბიჩიჩი — დავიდ ფერერი 2:6 2:6

მარიო ანჩიჩი — ფელიციანო ლოპესი 7:5 4:6 6:4

ივან ლიუბიჩიჩი, ივო კარლოვიჩი — ფელიციანო ლოპესი, ფერნანდო ვერდასკო 6:3 7:6

დიუსელდორფში ამერიკელთა საქმეები თავიდანვე ცუდად წავიდა. იანკებმა ხორვატებთან წააგეს და ჩილესთან მატჩშიც მათი მდგომარეობა თავიდანვე უიმედო გახდა — პირველივე შეხვედრაში ტრავმა მიიღო ამერიკელთა ლიდერმა ენდი როდიკმა, რომელსაც ფეხი გადაუბრუნდა და თამაშის გაგრძელება ვეღარ მოახერხა. ნიკოლას მასუმ კი თითქმის ოფლდაუღვრელად დააწინაურა თავისი ნაკრები.

სიტუაციის გამოსასწორებლად ამერიკელებმა რობი ჯინეპრის უხმეს, თუმც ეს ბიჭი სტაბილური არასოდეს ყოფილა და, თანამემამულეთა მსგავსად, არც თიხნარია მისი საყვარელი საფარი. მან ვეღარაფერი გააწყო თავისზე გაცილებით ახალგაზრდა და შესაბამისად გამოუცდელ პოლ კაპდევილიასთან. ასე რომ, ჩილელებმა უკვე ერთეულთა შეხვედრების შემდეგ გაინაღდეს მოგება და წყვილებში თავი აღარ მოიკლეს.

„საკმარია, ცოტა ფორმა ავკრიფო და მაშინვე რაღაცა მემართება. დავიღალე ამდენი ტრავმებით — ახლაც რა სულელურ ვითარებაში გამისრიალდა ფეხი. არადა, „როლან გაროსი“ ოთხ დღეში იწყება. იდე ახლა ფეხებზე ყინული და ილოცე, იქნებ თამაში მაინც შეეძლო“ — ლამის ტიროდა ნამატჩევს როდიკი.

ᲙᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲐᲫᲕᲘᲚᲘ

ჯირო დიგალია 2006. 6-28 მაისი

დოლომიტის ალპინიადა შეკვეცეს

ბასოს გინდ მოუჭერი, გინდ დაუგრძელე

AFP ბასო დი ფურსიდან

ლეონარდო პიეპოლიმ წლევანდელ „ჯიროზე“ მეორე ეტაპი მოიგო

დოლომიტის ალპების ძირში მდებარე პატარა ქალაქ ტერმენოში „ჯიროს“ მე-17 ეტაპის სტარტი 20 წუთით დაყოვნდა. მიზეზი სპორტსმენების პროტესტი იყო. თავის მხრივ, ეს პროტესტი საშინელმა ამინდმა განაპირობა. ჩრდილოეთ იტალიაში და განსაკუთრებით კი „ჯიროს“ მე-17 ეტაპის ტრასის მთელ სიგრძეზე ნამდვილი მეორედ მოსვლა იყო — კოკისპირული თავსხმა, ალაგ-ალაგ თოვლი, დატბორილი და დათოვლილი გზა ტრასის მთელ რიგ მონაკვეთებში ზვავსაშიშ სიტუაციას ქმნიდა. სწორედ ამიტომ ველოსიპედისტები ვლადიმირ ბელის, ჯილბერტო სიმონისა და ჯოვანი ლომბარდის თამადობით დისტანციის შემოკლებას ითხოვდნენ და საბოლოოდ ასეც მოხდა — 133-კილომეტრიანი ტრასა ყველაზე საშიში 12 კილომეტრით დაამოკლეს და პელეტონიც ამის შემდეგღა დაადგა გზას.

წვიმა, თოვლი, სველი გზა და ორი ურთულესი უღელტეხილი, რომელთაგან პირველის მაქსიმალური სიმაღლე 1987 მეტრი იყო, ხოლო მეორის — 2273 მეტრი. აი, ის 120-კილომეტრიანი ჯოჯოხეთი, რომელიც ველოსიპედისტებმა მე-17 ეტაპზე გაიარეს და ამას გზა ნამდვილად არ ერქვა.

ივან ბასო კი თურმე ჯოჯოხეთშიც მაგარია და დანიური CSC-ის იტალიელმა ლიდერმა კიდევ ერთხელ ყველას დაუმტკიცა თავისი სიძლიერე და ის, რომ წლევანდელი „ჯიროს“ მისია და სხვებმა ვარდისფერ მაისურაზე ფიქრს თავი უნდა დაანებონ.

არა, ამჯერად ბასოს ეტაპი არ მოუგია. გამარჯვება, მიმდინარე „ჯიროზე“ უკვე მეორე, ლეონარდო პიეპოლიმ მოიპოვა, მაგრამ სტრატეგიული თვალსაზრისით მოგებული მაინც ბასო დარჩა — 28 წლის მრბოლმა ფინიშს პიეპოლისთან ერთად უწია, სხვები უკან მოიტოვა და ამით თავისი უპირატესობა საერთო ჩათვლაში კიდევ უფრო გაზარდა.

აღსანიშნავია, რომ ბასო იმ მცირერიცხოვან მრბოლთა შორის იყო დისტანციის სეკვესტრით უკმაყოფილონი რომ დარჩნენ. ამინდი მართლაც საშინელი და სახიფათო გახლდათ, მაგრამ ეს „ჯიროა“ და ასეთი დონის შეჯიბრის დროს ექსპერიმენტები არ უნდა ხდებოდესო — ამბობდა ფინიშის შემდეგ იტალიელი ივანი.

დღეს და ხვალ „ჯიროზე“ კიდევ ორი ურთულესი სამთო ეტაპია. ხვალ ველოქარავანი, სულაც წლევანდელი იტალიური სუპერრბოლის უმაღლეს, ლეგენდარული ფაუსტო კოპის სახელობის 2618-მეტრიან მწვერვალს დალაშქრავს. თამამად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ ეტაპების მთავარი გმირი კვლავაც ბასო იქნება.

მე-17 ეტაპი. 24 მაისი. ტერმენო-პასო დი ფურსია. 120 კმ

1. ლეონარდო პიეპოლი (იტალია, სონი დიუვალი)	3სთ. 21 წთ. 26 წმ.
2. ივან ბასო (იტალია, CSC)	იგივე დრო
3. ხოსე გუტიერესი (ესპანეთი, ფონაკი)	+15 წმ.
4. ფრანკო პელიციოტო (იტალია, ლიქუიგასი)	+19 წმ.
5. ხულიო პერესი (მექსიკა, პანარია)	+28 წმ.

საერთო ჩათვლა

1. ივან ბასო (იტალია, CSC)	67 სთ. 56 წთ. 31 წმ.
2. ხოსე გუტიერესი (ესპანეთი, ფონაკი)	+5 წთ. 43 წმ.
3. ჯილბერტო სიმონი (იტალია, სონი დიუვალი)	+10 წთ. 34 წმ.
4. პაოლო სავოლდელი (იტალია, დისკავერი)	+10 წთ. 58 წმ.
5. ფრანკო პელიციოტო (იტალია, სონი დიუვალი)	+12 წთ. 30 წმ.

საჭადრაკო ოლიმპიადა 2006

20 მაისი — 4 ივნისი. ტურინი. იტალია

IV ტური

კაცები

გერმანია 1,5:2,5 საქართველო

არტურ იუსუპოვი	0:1 ბაადურ ჯობავა
იან გუსტაფსონი	0,5:0,5 ლევან ფანცულაია
თომას ლუთერი	0,5:0,5 გიორგი ყაჭეიშვილი
კრისტოფერ ლუტცი	0,5:0,5 მერაბ გაგუნაშვილი

ქალები

საქართველო 1,5:1,5 ინდოეთი

ნინო ხურციძე	0,5:0,5 ჰუმპუ კონერუ
ნანა ძაგნიძე	0:1 გეიტი სვაზი
ლელა ჯავახიშვილი	1:0 მარი ან გომესი

ლელა ჯავახიშვილი

ბაადურ ჯობავა

ჯობავამ გერმანელები შემუსრა

ქართველმა ვაჟებმა გერმანიის ძლიერ ნაკრებს მოუგეს და მეორე ადგილზე აღზევდნენ. ალემანთა გუნდი ლიდერ არკადი ნიდიჩის გარეშე თამაშობდა. მის ნაცვლად პირველ დაფაზე არტურ იუსუპოვი დაჯდა, რომელსაც შავი ფიგურებით ბაადურ ჯობავა დუპირისპირდა. ქართველი ტურინში სოფიიდან ჩავიდა, სადაც ის მსოფლიოს ჩემპიონის ვესელინ ტოპალოვის სეკუნდანტი იყო ახლახანს დასრულებულ სუპერტურნირზე. ჯობავამ მეტოქეს სულ ბდღვრი ადინა და საქართველოს ნაკრებს ძვირფასი გამარჯვება მოუტანა.

ოლიმპიადას რუსთა და სომეხთა უძლიერესი ნაკრებები უდგანან სათავეში. ბუქმეიკერებმა რუსებს მოგებაზე 1,42 კუში არგუნეს, ხოლო სომხებს 8,2. წარმატების მიუხედავად საქართველოს კვლავ 100-იანი კოეფიციენტი უწერია.

ქალებშიც ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები ლიდერობენ და ქულანახევრით უსწრებენ უახლოეს მდევარ უკრაინას. ქართველმა დიდოსტატებმა კი კვლავ ყაიმი ითამაშეს, ცხრილში ქვემოთ დაიწიეს და მედლის მოპოვების შანსი კიდევ უფრო შეიმცირეს. ჩვენი მოჭადრაკეებიდან ლელა ჯავახიშვილმა იყოჩაღა, მესამე დაფაზე მარიანა გომეშს თეთრებით მოუგო და გუნდი წაგებას გადაარჩინა.

ლაშა გეგეჭკორი

საბურნირო მდგომარეობა ოთხი ტურის შემდეგ

კაცები		ქალები	
1. რუსეთი	13,5 ქულა	1. რუსეთი	11,5 ქულა
2. სომხეთი	13,5	2. უკრაინა	10
3. ჰოლანდია	13	3. აშშ	9,5
4. უზბეკეთი	12,5	4.ჩინეთი	9,5
5. ესპანეთი	12	5. ბულგარეთი	9,5
10. საქართველო	11,5	18. საქართველო	8

V ტური

კაცები

საქართველო 1,5:2,5 აშშ

ბაადურ ჯობავა	0:1	გატა კამსკი
ლევან ფანცულაია	0:1	ალექსანდრ ონისჩუკი
მერაბ გაგუნაშვილი	1:0	ჰიკარუ ჰაკამურა
თამაზ გელაშვილი	0,5:0,5	ვარუზან აკობიანი

ქალები

თურქმენეთი 1:2 საქართველო

მაჰრი გელდიევა	0:1	ნანა ძაგნიძე
ბაჰარ ჰალაევა	0:1	ლელა ჯავახიშვილი
მაისა ოვეზოვა	1:0	მაია ლომინეიშვილი

პლეი ოფი 2006

ჰატარა და მუშა

24 მაისი

ნახევარფინალი

აღმოსავლეთი

პაროლინა 1:2 ბუფალო

ბუფალო 4:3 კაროლინა

1:1 3:1 0:1

0:1 სტილმანი (15), 1:1 დრური (20), 2:1 ბრიარი (22), 3:1 ბრიარი (29), 4:1 კოტალიკი (33), 4:2 სტილმანი (39), 4:3 სტაალი (56)

იყო დრო, როდესაც დანიელ ბრიარი თითქმის ყველა გუნდის მწვრთნელმა ჩამოწერა. უკლებლივ ყველას მთავარი არგუმენტი ასეთი იყო: დიახ, საკმაოდ მაღალი კლასის ოსტატია, მაგრამ ნჰლ-სთვის ზედმეტად ჩია ტანის და ფიზიკურად სუსტი ჰოკეისტიაო. ერთადერთი, ვისაც ბრიარის სჯეროდა, „ბუფალოს“ თავკაცი ლინდი რაფი გახლდათ. მან არა მარტო მიიწვია ჯუჯა თავის გუნდში, არამედ კაპიტნობაც დაავალა და ბრიარმა სავსებით გაუმართლა. მიუხედავად მძიმე ტრავმისა, ბრიარი რეგულარულ სეზონში გუნდის უდავო ლიდერი იყო და პლეი ოფშიც დაადასტურა თავისი კლასი. ერთადერთი ჩავარდნა დანიელს და მის სამეულს წინა მატჩში ჰქონდათ რის გამოც გუნდის ლიდერებმა ასე გაიმართლეს თავი: „ლინდის შეეძლო, შეკრება არც მოეწყო. ჩვენ ისედაც ვგრძნობდით, რომ წინა მატჩის შემდეგ უნდა გამოგვესწორებინა მდგომარეობა და დღეს თავკაცს დავანახვეთ, რომ საკმაო ნებისყოფა გვაქვს“ — თქვა ბრიარის მუდმივმა პარტნიორმა ჟან-პიერ დიუმონმა ნამატჩევს. მართლაც, ბრიარის სამეული საუკეთესო იყო ყინულზე და, რაც მთავარია, მათ, კერძოდ კი თავად ბრიარმა, ორჯერ დასაჯეს მეტოქე წესების დარღვევისთვის. თუმცა „კაროლინასაც“ ნუ დავუკარგავთ გარჯას. ორი გატანილი გოლის წყალობით მათ მატჩის ბოლო წეთები კვლავ გამოაცოცხლეს. თანაც გუნდის ლიდერმა ერიკ სტაალმა ზედიზედ მე-13 თამაშში (6 გოლი და 12 პასი) მოაგროვა ქულები, მაგრამ უკანასკნელ წუთებზე მასპინძლებმა მაინც შეინარჩუნეს უპირატესობა და კვლავ დაწინაურდნენ სერიაში.

AFP ბუფალოდან

კაროლინელ რეკის ბუფალოელი აფინოგენოვი შემოეჭყლიტა

სარბიელი სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

ურიკნული ბიბლიოთეკა

თუ ძალიან გცხელათ, შეხედეთ ზიდანს და მის მეგობრებს, ქურთუკები რომ ჩაუცვამთ. რა ენაღვლებათ, ალპებში ნებივრობენ.

ნებივრობენ ესპანელებიც, ოღონდ ამათ ნებივრობას რა დავარქვათ, არ ვიცით, — თუ გაარჩევთ, ვისი ბუცი ვის უბეშია...

გერმანელთა მეკარეები კანი და ლემანი, გუნდური ფოტოს გადაღების დროსაც არ იღიმებიან — ესენი რომ ერთმანეთს მტრობენ, ვინ არ იცის.

სამაგიეროდ, იტალიელები არიან მეტისმეტად მხიარულად, სათვალე „ა ლა რონალდინიო“ კი ვინძლო ამ ზაფხულს მოდის უკანასკნელ ყვირილად იქცეს.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბარო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge